# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 ოქტომბერი 2002 №192 (1714) | ფასი 50 თეთრი


# რუსებთან ბრძოლა იუნკერების ხვედრია



ძველმა სარდალმა ძველ გვარდიაზე უარი თქვა და ახალწვეულებს უხმო



# რუსი, რომელიც სულ მოდის ერთხელაც დავხვდეთ! სორელმა კავკასიური ჯიშის ფასი იცის


რეპორტაჟი საგურამოდან
იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე

# გაზაევის სამზარეულო
## პილპილმოყრილი სიმართლე რუსულად



*12 ოქტომბერი ახლოვდება და ხმაური მატულობს. რუსეთშიც და საქართველოშიც ყველაზე აქტუალური თემა ორი ქვეყნის სანაკრებო დაპირისპირებაა.*

*ხვალ „ორთავა არწივი" თბილისისკენ დაირაზმება. გაზაევის გუნდი მოსკოვის მახლობლად ემზადებოდა. სამშაბათს ვალერი გეორგიევიჩმა ღია კარის დღე მოაწყო. ჟურნალისტები გუნდის ვარჯიშს დაასწრო, მათ ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება მისცა, მერე კი თავად უპასუხა შეკითხვებს*

**როგორც იცით,** გაზაევის სათბილისო 24-კაციანი განაცხადი შეიცვალა. რუსებს კარიაკა დააკლდათ. ეს ფეხბურთელი „სპარტაკთან" დაშავდა და ალბანეთთანაც ვერ ითამაშებს. ამის გამო გაზაევმა საჩქაროდ გამოიხმო ახალგაზრდული ნაკრებიდან ანდრეი არშავინი. რუსებს ტრავმირებული ბერეზუცკი და შეუძლოდ მყოფი დაევიც გამოაკლდათ, ამათ ევსიკოვი და სენნიკოვი შეცვლიან. წელს იტკივებს სემაკი. სამშაბათს არმიელმა ნახევარმცველმა განცალკევებით იმუნძულა, თუმც იმედოვნებს რომ შაბათისთვის მწყობრში იქნება. ჯანზე ვერც თავად გაზაევია, სურდომეყრილი ულვაშა მწვრთნელი ხმაჩახლეჩილი ესაუბრებოდა ჟურნალისტებს, თუმც რუსები ალტაცებული დატოვა. ასეთ მდგომარეობაში თავი არ დაუზოგავს და თავსხმა წვიმაში საათნახევრიანი ვარჯიშისას ფეხბურთელებთან ერთად გაილუმპა.

ვარჯიშისას სიჭა გააცალეს ნიგმატულინს და ოვჩინიკოვს. ესენი სხვადასხვა წერტილიდან დაბომბეს. ნიგმატულინი თავიდან მაგრად იდგა, მერე კი დაღლა დაეტყო და ბევრი ყლაპა, ოვჩინიკოვმა უფრო მეტი ბურთის მოგერიება შეძლო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ გაცხადებულა, ვინ დაიცავს რუსთა კარს თბილისში, მაინც სავარაუდოა, რომ გაზაევი უფრო ნიგმატულინს ენდობა, რაკილა თავად თქვა რუსლანი დამაჯერებლად გამოიყურებაო.

გაზაევს ჩერჩესოვზეც ჰკითხეს, სანაკრებოდ ხომ არ გამოიყენებთო. მწვრთნელმა ჟურნალისტის კითხვას დიპლომატიურად კი უპასუხა, მაგრამ აზრი დაახლოებით ასეთი იყო, რაღა დროს სტასია, ვერ ხედავთ ნიგმატულინი და ოვჩინიკოვი დაფრინავენო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ რუსთა ნაკრების უკლებლივ ყველა წევრს ფიზიკური გამოკვლევა ჩაუტარეს, რომლის შედეგებიც ჯერჯერობით არ გაცხადებულა.

მცირე, მაგრამ ქართველთა შანსი ისიცაა, რომ რუსეთი საკლუბო კრახით მოგვადგება კარს. „სპარტაკის" და „ლოკომოტივის" უნიათობა ცსკა-სა და „ზენიტს" გადაეღოთ, ეს ორი გუნდი ბოლო მომენტში წყვილად გავარდა უეფას თასის გათამაშებიდან და, რაღა თქმა უნდა, ამ კლუბების ფეხბურთელები, ნაკრების ბირთვს რომ წარმოადგენენ, ფსიქოლოგიურად ვერ არიან მაღალ დონეზე, თუმც საპირისპიროს ამბობს გაზაევი. კლუბთა წარუმატებლობა 12 ოქტომბრისთვის არავის ეხსომება, ჩვენ სხეულით კი არა, გულით ვითამაშებთ და ფრეს გაგონებაც არ მსურს, თბილისში მოსაგებად მოვდივართო.

ბევრი ითქვა, რომ კარსმომდგარი მატჩი მხოლოდ სპორტული მოვლენა არ არის — სადაც რუსეთი და საქართველოა, იქ პოლიტიკაცაა. მიუხედავად ამისა, გაზაევი ირწმუნება, ამ მატჩს მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით ვუყურებო და კმაყოფილიცაა, რომ სათბილისოდ გამზადებული „ორთავა არწივი" რუს პოლიტიკოსთა ყურადღების მიღმა დარჩა. ფეხბურთელებს ქვეყნის პოლიტიკური სპექტრიდან არავინ შეხვედრია და ეს კარგიცაა, მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობთო — ამბობს გაზაევი.

რუსმა ჟურნალისტებმა კი 12 ოქტომბრის მატჩი ორი კავკასიელი ჯიგიტის დაპირისპირებად მონათლეს. იქაურ პრესაში კიდევ ერთხელ გაიხსენეს, თუ როდის ყოფილან მხარდამხარ და სად გადაკვეთილა გაზაევის და ჩივაძის გზები. შაბათის მატჩის წინ მე ჩივაძეს გულთბილად ჩამოვართმევ ხელს და ჩვენი მეგობრობა 90 წუთის მერეც მყარი და ურღვევი იქნებაო, ამბობს გაზაევი.

გაზაევს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით, აქ კი მის თანაშემწე ვლადიმერ შევჩუკზე შევჩერდეთ. იგი 8 სექტემბერს ბაზელში საქართველოს წაგებას დაესწრო და გუშინწინ დეტალურად ახსნა ჩვენი ნაკრების შვეიცარიელებთან მარცხი. ქართველი მკითხველისთვის წაგების მიზეზებზე საუბარი ალექსანდრე ჩივაძისგან უფრო სასურველი იყო, თუმც მეორე გოლით გატეხილ ჩივაძეს ჩვენთვის სათქმელი თავის დროზე არაფერი ჰქონდა. შევჩუკის ანალიზი ეგებ დროული ვერ იყოს, მაგრამ ნაღდი რომაა, ფაქტია.

„საქართველოს რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, შვეიცარიელებმა კი გამოიცეს. ქართველები ინერტულები იყვნენ, ვერ ვიხსენებ გუნდს, თუნდაც გასვლით მატჩში, ასე დაბალ ტემპში ეთამაშოს. მასპინძლები მეთოდურად ზრდიდნენ ტემპს და ამით ქართულ ჯებირს უპრობლემოდ ანგრევდნენ. ჩივაძეს ბაზელში ერთი კარგი მცველი ჰყავდა კალაძის სახით, მაგრამ ევროპულ ფეხისცემას ჩამორჩენილი მისი გუნდი ლიბეროთი თამაშობდა, შესაბამისად, კალაძეს სხვისი ფუნქციების შეთავსებაც უწევდა, დანარჩენი მცველები კი დაშინებულნი იყვნენ. ეგებ უფრო ეფექტური ყოფილიყო, ქართველებს ხაზზე ეთამაშათ, მაგრამ ჩივაძემ სხვაგვარად განსაჯა. არადა, მგონია, ლიბეროდ გამწესებული ნემსაძე, კალაძეზე რომ არაფერი ვთქვა, ხაზზე თამაშისას



ვალერი გაზაევს არც ვარჯიში დაზარებია

მეტ სარგებლობას [illegible] და ეგებ სხვათა [illegible] გამოჩენილიყო მკაფიოდ" — აი, ეს თქვა შევჩუკმა, რომელიც ვარაუდობს, რომ ჩივაძე შვეიცარიულ ტაქტიკას თბილისშიც არ უღალატებს და ამით ერთიორად გაიზრდება რუსთა შანსი.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში ნაკრებს მიღმა დარჩენილი ალექსანდრ მოსტოვოის ინტერვიუ დაიბეჭდა. ესპანური „სელტას" ლიდერმა გაზაევის პოლიტიკა გააკრიტიკა და ნაკრებში თამაშზე უარი თქვა — რომც მიმიწვიოს გაზაევმა, მაინც არ ჩავალო.

ამასთან დაკავშირებით ვალერი გეორგიევიჩმა იმ გაზეთის რედაქციაში დარეკა, დარწმუნდა მასალის ობიექტურობაში და ცხელ გულზე საჯაროდ განაცხადა: „აზრი არა აქვს ნაკრებში ისეთი ფეხბურთელის გამოძახებას, როგორიც მოსტოვოია, რადგან მას თავად არ სურს ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაში. გუნდში ეროვნული სულისკვეთებით აღგზნებული ფეხბურთელები მჭირდება. ამიტომ მოსტოვოისთვის ნაკრების კარი დახურულია".

მთავარ მწვრთნელს ხოტბას ასხამენ ნაკრების წევრები. ბესჩასტნიხმა გამორჩევით გაზაევის ენერგიაზე ისაუბრა, მის გვერდით ყველა დადებითად ვიმუხტებითო. კერჟაკოვმა კი თქვა, ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში ისეთი მწვრთნელი მყავს, რომლისგან არა მარტო ფეხბურთის, კაცური თვისებების სწავლაც შესაძლებელიაო.

კერჟაკოვი ვახსენეთ და ვთქვათ, რომ წერას აუტანია ახალგაზრდა ფეხბურთელი. 19 წლის ბიჭმა წიგნი დაწერა — „16 წლამდე და ზევით", რა წერია მასში, ბევრს ვერაფერს გეტყვით, ისე კი რუსები კერჟაკოვის ნაღვაწს გაბესტსელერებას და მოზარდთა სამაგიდო წიგნობას უწინასწარმეტყველებენ. ახალგაზრდა ავტორმა თითო ეგზემპლარი სამშაბათს პიმენოვს და არშავინს აჩუქა, მასწავლებელი კი უსაჩუქროდ დატოვა. ალბათ, მოერიდა ჩემთვის წიგნის ჩუქებაო, თქვა გაზაევმა. თავად კერჟაკოვი კი იმაზე წუწუნებს, ვისაც წიგნი ვაჩუქე, ავტოგრაფი არავის მოუთხოვიაო.

რუსეთის ნაკრებს თბილისში 250-მდე ქომაგი ჩამოჰყვება და, გაზაევის თქმით, ისინი ეროვნული ჰიმნის დროს პატრიოტული სულით ანთებულ გულზე ხელებდაწყობილ თერთმეტ მეომარს დაინახავენ. რუსეთს გამარჯვების სჯერა. სამშაბათის პრესკონფერენციისას ერთ-ერთ დაბნეულ ჟურნალისტს გაზაევის სიახლოვეს ყვავილიანი დიდი ქოთანი გაუტეხავს შემთხვევით. უთქვამთ, კარგის ნიშანია, თბილისში აუცილებლად გავიმარჯვებთო...

დიდ მადაზეა რუსეთი.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ჟორდანია რუსეთის ელჩს მშვიდობას შეპირდა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გუშინ საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ გუდევი ესტუმრა და 12 ოქტომბრის მატჩისთვის სამზადისზე დაახლოებით ერთ საათს ესაუბრა. შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა, გუდევი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მისი ქვეყნის ნაკრებს თბილისში სტუმრობისას პრობლემა არ შეექმნება. ჟორდანიას კაბინეტიდან გამოსული ელჩი ფედერაციაში დიდხანს აღარ შეყოვნებულა, კარგ ხასიათზე მყოფმა სამსახურისკენ გასწია. მისი და, რაღა თქმა უნდა, თავის სათქმელიც პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა:

— რუსეთის ელჩს დაწვრილებით მოვახსენეთ იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც ფეხბურთის ფედერაციამ 12 ოქტომბრის მატჩის უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უკვე მიმართა და რასაც დღეის შემდეგ ვგეგმავთ. აღმოჩნდა, რომ სტუმარს ყველაფერი კარგად სცოდნია. პრესითა თუ ტელევიზიით, სხვადასხვა უწყებებში მესმის, რომ უსაფრთხოებისთვის ყველა ნაბიჯი უზუსტესადაა გათვლილი, ამის თაობაზე რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და სხვა სამსახურებს უკვე ვაცნობე და მათ დღესაც დავუკავშირდებიო, თქვა ჩვენთან საუბრისას გუდევმა და მადლობა გადაგვიხადა. დარწმუნდა, რომ მისი ქვეყნის დელეგაციას აქ სტუმრობით საფრთხე არ შეექმნება. ის მატჩს თავადაც დაესწრება რუსეთის მთავრობისა თუ დუმის რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად. გუდევმა ერთხელაც დაგვიდასტურა, რომ თბილისში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია ჩამოვა. დაახლოებით 120 სტუმარს ველით. მათ შორის იქნებიან რუსეთის სპორტის მინისტრი ვიაჩესლავ ფეტისოვი, შამილ ტარპიშჩევი, სახელოვანი რუსი მოჭიდავე ალექსანდრ კარელინი, მიხეილ მამიაშვილი, ჩვენი თანამემამულე, ფეხბურთის დიდი ქომაგი, ბიზნესმენი ანზორ კაკალიშვილი და სხვები. რა თქმა უნდა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებიც გვესტუმრებიან. ისინი პარასკევს, ეროვნულ გუნდთან ერთად ჩამოვლენ. ვლადიმერ გუდევს ისიც ვუთხარით, კარგი იქნება, ჩვენი და რუსეთის საფეხბურთო კავშირის მსგავსად, პოლიტიკოსებმაც რომ იმეგობრონ. ცხადია, მოედანზე მეგობრობა არ მიგულისხმია. დარწმუნებული ვარ, იქ ნაღდი, ვაჟკაცური ბრძოლა იქნება და საქართველოს გამარჯვებით დასრულდება. სხვათა შორის, გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილთან ერთად საქართველოს ნაკრებს შევხვდი. მომავალ მატჩზე ვისაუბრეთ, თუ რუსებს დავამარცხებთ, 15-20 წლის შემდეგ ხალხი თქვენც ისევე გაგიხსენებთ, როგორც ახლა, 1981 წლის დიუსელდორფის ფინალის მონაწილეებს-მეთქი.

ფედერაციაში კი დიდი ფაცაფუცია. რაც უფრო ახლოვდება მატჩი, საქმე მატულობს. სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები არ ასვენებენ ფედერაციას, ყველაფერი ერთხელაც ზუსტდება, მოწმდება... შიში კი იქაც იგრძნობა, ვაითუ, ნაკრებმა ვერ მოიგოს, ქომაგთა შესაძლო შემოტევას ეს შენობა როგორ გაუძლებსო... ისე, ნაკრებმა რომ გაიმარჯვოს, სანერვიულო სულ არაფერი იქნება.



მერაბ ჟორდანია

**ქოჩა ინასარიძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# მაკარტიმ ინგლისს პორტუგალია ამჯობინა

ირლანდია

— არავითარი „სანდერლენდი". მე ირლანდიის ნაკრებთან მაქვს კონტრაქტი — განაცხადა გუშინ „სამყურათა" მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ.

ირლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელი, რომელსაც სამშობლოში მეტსახელად „მიკ-მაკს" ეძახიან, ახლა შვეიცარიასთან სათამაშოდ ამზადებს გუნდს. ასეთი კომენტარის გაკეთება კი მას ბოლოხანს ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციების გამო მოუხდა.

რამდენიმე დღეა, ინგლისური „სანდერლენდის" თავკაცი პიტერ რიდი თანამდებობიდან დაითხოვეს და ბევრი მის მემკვიდრედ სწორედ მიკ მაკარტის მიიჩნევდა.

„ვფიქრობ, ამ ეტაპზე ნაკრებს ვჭირდები. ვალდებული ვარ, კონტრაქტის პირობები ბოლომდე შევასრულო. ჩემი მიზანი ირლანდიის ნაკრების ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე გაყვანაა. ძალიან მინდა პორტუგალიაში წასვლა" — თქვა მაკარტიმ.

რუსეთში მარცხით გაფუჭებული გუნების გამოკეთებას „სამყურები" საქართველოს გამბითურებელი შვეიცარიის ძლევით აპირებენ. მაკარტიმ უკვე შეკრიბა რჩეული ფეხბურთელები და მოახლოებულ მატჩსაც დიდი იმედით ელის.



მიკ მაკარტი

**კახა შალამბერიძე**

# დაგვცინიან, უნამუსო ვიყო, უღმერთოდ დაგვცინიან



იმის მაგივრად, ორიოდ სიტყვით მაინც აეხსნა ორი სამარცხვინო მარცხის მიზეზი, ბაზელის კატასტროფიდან ერთი თვის თავზე მწვრთნელმა სენსაციური ცნობით გაგვახარა — თურმე ნუ იტყვით და, თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მთავარი რეცეპტი ეროვნული სული ყოფილა. მაკარტიმ, ფიოლერმა და გიუნეშმა ასე თქვესო.

იცოცხლე, გაგვიხარია. დაილოცოს უეფა, ხანდახან მაინც რომ აწყობს ეროვნულ გუნდთა თავკაცების შეკრებას. არ ღირდა თუნდაც ამიტომ ვარშავაში გადაფრენ-გადმოფრენა (თანაც კიევის გამოვლით)? ახლა ნახეთ მოწინააღმდეგეთა გოდება! სამ დღეში ნაკრებს ამ სულს შთავბერავო და... რა ტაქტიკა და რის სტრატეგია?! ამას გვიმალავდნენ ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები?

ისე, ეროვნული სული რაღაც ყურს უშნოდ ხვდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული სულისკვეთება უფრო დამაჯერებელია.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეჭვი გვაქვს, პოლონეთის დედაქალაქში იმ პატივცემულმა პიროვნებებმა სულ სხვა რამ თქვეს — მაგალითად, გუნდური სული (ინგლისურად თიმ სპირით), რაც, დაგვეთანხმებით, სულ სხვა რამაა. სწორედ გუნდურ სულზე და ერთიან, შეკრულ გუნდზე საუბრობდა მთელი მუნდიალის მანძილზე იგივე მიკ მაკარტი, ვინც როი კინი იმიტომ კი არ გააგდო გუნდიდან, ცუდი ირლანდიელიაო, არამედ — გუნდში ვითარებას ძაბავსო.

იმის ეჭვიც გვაქვს, რომ იმავ გიუნეშს, ფიოლერსა და მაკარტის თავშიც არ მოსვლიათ კოლეგების წინაშე ტრაბახი და ამიტომაც თავის დამსახურებებზე კრინტიც არ დაუძრავთ. აბა, დალოცვილო, თუ მთავარი ეროვნული სულია, ვის რად უნდა ვიღაც მაკარტი — დანიშნავენ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის რომელიმე მოღვაწეს ნაკრების სათავეში და მერე ირლანდიას შახმასუდის გაწვრთნილი ავლანეთიდა თუ მოუგებდა.

არა, დაგვცინიან-მეთქი, ხომ გითხარით.

და თუ ეს ასე არაა, მაშინ, ნება მოგვეცით, რამდენიმე (ჩვენი აზრით რიტორიკული) შეკითხვა დავსვათ.

**1** რითი განსხვავდება იმავ ირლანდიის ნაკრების ეროვნული სული, ვთქვათ, ჩრდილო ირლანდიის ნაკრების შესაბამისი სულისგან? რა, ოლსტერის ტერიტორიაზე ერთი პატრიოტი ფეხბურთელიც კი ვერ იპოვეს 1986 წლის მერე?

**2** დავიჯეროთ, პოლონეთის ნაკრების მუნდიალზე გამყვანი გაპოლონელებული ემანუელ ოლისადებე უფრო დიდი პატრიოტია, ვიდრე, თუნდაც იგივე გოჩა ჯამარაული, მამის დაკრძალვის კვირის თავზე ნაკრებში თამაშზე რომ დათანხმდა? შესაძლოა, მეტი პროფესიონალი ნაღდად იყოს, მაგრამ ეს უკვე სხვა, სწორედ მწვრთნელების ბოსტანში ნასროლი საკითხია.

**3** სად იყო აქამდე კორეელთა ეროვნული სული? გუს ჰიდინკმა ჩაუტანა ჰოლანდიიდან?

გაგრძელებას, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს. თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მისაღწევად, ისევე როგორც თითქმის ყველაფერში, დღე-ღამეში 25-საათიანი ფიქრი და მუშაობა, აგრეთვე სტრატეგია, ტაქტიკა, მოთამაშეთა შერჩევისა და მათი სათანადო ადგილებზე განაწილების უნარია.

ეროვნული სული კი, ანუ უბრალოდ პატრიოტიზმი, უკაცრავად და, ყველას მოეთხოვება — ქვეყნის მეთაურიდან დაწყებული და რიგითი მოქალაქით დამთავრებული. ეს არც გიუნეშმა უნდა გვასწავლოს და არც ფიოლერმა.

მაგრამ მატჩამდე მცირე დროა და თუ გაზავების დამთრგუნველი ტაქტიკის შემუშავებას ვერ მოვასწრებთ, გუნდი ასე დავაკომპლექტოთ: კარში აკაკი ასათიანი, საყრდენად ნოდარ ნათაძე, მარცხნივ...

**გიგა ქობახიძე**

# რუსეთი ქართველების უგემრიელესი კერძია

*ორი დღეც და საქართველოს ეროვნული გუნდი ეროვნული თამაშისთვის გავა ბრძოლის ველზე — ჩვენი მეტოქე რუსეთია.*

*ამბავი ისეთია, რომ ნაკრებისგან ნაწვნევი განბილება თუ წყენა 12 ოქტომბერს არავის ეხსომება — ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, რუსები ასმეტრიან მინდორზე მაინც უნდა დავამარცხოთ.*

*ამბავი ისეთია, რომ ფეხბურთელებმა მწვრთნელის გარეშეც უნდა მოიგონ. ეს მათი წმინდათაწმინდა მოვალეობაა — საქართველოს რუსეთი უპირისპირდება.*

*და იმედიც აქედან მოდის.*

*საქართველოს ნაკრები ახლა უკაპიტნოდაა დარჩენილი — ალექსანდრე ჩივაძემ არც გიორგი ნემსაძეს უხმო და არც თემურ ქეცბაიას. კაპიტნის სამკლავურს გოჩა ჯამარაული, კახა კალაძე ან შოთა არველაძე მოირგებსო, ასე ამბობენ. ვინძლო, ეს დიდად მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ რუსეთთან მატჩისთვის ნურას უკაცრავად.*

*29 წლისაა შოთა არველაძე, მაგრამ ნაკრებში ალბათ, მაინც ვეტერანი ეთქმის. კაპიტნობა იქით იყოს და შოთასი ახლა ერთი-ორად გვეიმედება და მისგან უფრო მეტსაც ველით — ის ხომ ნაკრების ისეთი შემტევია, რომელიც ევროპაში ჩანს, მიუხედავად „რეინჯერსის" უეფას თასიდან გავარდნისა.*

*სანაკრებო თემამდე კი, არველაძეს „სელტიკ" — „რეინჯერსის" 6 ოქტომბრის „ოლდ ფირმზე" ჩამოვუგდეთ სიტყვა*



— „ოლდ ფირმი" ყველაფრისგან ძალიან განსხვავებულია. ვისაც დიდი დერბები აქვს ნათამაშევი, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ასეა. „რეინჯერსისა" და „სელტიკის" დაპირისპირება ძირითადად საერთო სიტუაციით და ატმოსფერით გამოირჩევა. ისე კი, თამაშის დროს სასწაული „ჩეხვა" მიდის.

**— და ასეთ „ჩეხვაში" გოლი გაიტანე, რაც, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია შენთვის.**

— შედეგი, გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. მაგრამ ისიცაა, რომ თუ ამ დაპირისპირებაში გოლს გაიტან, უკვე მორჩა, შინაური ხარ.

**— გოლის შემდეგ „რეინჯერსის" ფანებისკენ მისულხარ და ემოციები დაგიცლია, რისთვისაც ყვითელი ბარათი აგიფრიალეს...**

— იმ მომენტში უკან არც გამიხედავს, თამაშის მერე შევიტყვე გაფრთხილების შესახებ.

**— გუნდიდან ტორე ანდრე ფლოს წასვლის შემდეგ ისევ მარცხენა შემტევი ხარ თუ ალექს მაკლიში ცენტრფორვარდად გათამაშებს?**

— ახლა ორი ფორვარდით ვთამაშობთ და ერთ-ერთი მე ვარ, პიტერ ლოვენკრანდსი კი მარცხნიდან გვეხმარება.

**— ნაკრებზე გადავერთოთ. სანამ რუსეთთან მატჩზე ვისაუბრებდეთ, იქნებ შვეიცარიასთან უნიათო თამაშზეც და საერთოდ, გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობების მიზეზებზეც გვითხრა...**

— თურქეთი დიდი და მართლა სერიოზული გუნდია, თუმც პირველ ტაიმში ორი გოლის გატანა მაინც შეგვეძლო, მიუხედავად მთლიანობაში ცუდი თამაშისა. შვეიცარიასთან კი ვერაფრით ვერ გავიგე, რა ხდებოდა...

**— ახლა რუსეთი გველის. 12 ოქტომბრის მატჩი ძალიან განსაკუთრებულია და გულშემატკივარიც ნაკრებისგან განსაკუთრებულ თამაშს ელის...**

— მასეა, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობიდან გამომდინარეც, ეს ერთობ განსაკუთრებული თამაშია. თუ მოვიგებთ, ვფიქრობ, ყველაზე გემრიელი გამარჯვება იქნება ჩვენი ნაკრებისთვის. ისტორიულადაც, ქართველი ფეხბურთელების რუსებზე გამარჯვება ყველაზე გემრიელი იყო.

**— ალექსანდრე ჩივაძემ გუნდის გახალისებისკენ გადადგა პირველი ნაბიჯები. როგორ ფიქრობ, ეს დროული პროცესია?**

— როცა იძახიან, ეს თაობა ნაკრებიდან უნდა წავიდესო, ვერ გავიგე, კონკრეტულად ვის გულისხმობენ?

**— ალბათ, იმათ, ვინც ნაკრებში მისი პირველი თუ მეორე შესარჩევი ციკლიდან თამაშობს.**

— დღესდღეობით ასეთები ვართ მე და ჯამარაული, ვინც ნაკრებში სისტემატიურად ვთამაშობთ. შვეიცარიასთან კი ნემსაძე და ქინქლაძეც იყვნენ, რომელიც მეორე ტაიმში გამოცვალეს და დავრჩით სამი კაცი. თუ თაობათა ცვლაში სამი კაცი იგულისხმება, ეს საქმესთან ახლოს არ არის.

**— საქმე ისაა, რომ გუნდი წააგებს თუ მოიგებს, ყველა ნაკრების ძირძველი წევრებისკენ იშვერს თითს...**

— ერთის მხრივ კარგია, ნაკრებში ჩატარებული თამაშები რომ გიფასდება, მაგრამ მეორე მხრივ, როცა იძახიან, ძველები უნდა წავიდნენო, ამ ძველებიდან ხომ თითქმის აღარავინ დარჩა — მე და ჯამარაული. ამიტომ იმაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი, ვინ რამდენი მატჩი ჩაატარა ნაკრებში და ვინ რამდენი წლისაა — მთავარია, ვინ როგორ მზადყოფნაშია კონკრეტული თამაშისთვის.

**— შენ, როგორც ნაკრების ერთ-ერთი ძირძველი წევრი და ლიდერი, შეგიძლია ხალხს შეპირდე, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლებს, თავს დადებს, ისეთი დაძაბუნებული და უნიათო არ იქნება, როგორც რუმინეთთან, შვეიცარიასთან?**

— რუმინეთთან არასწორად ვითამაშეთ და იგივე მოხდა ნაკრების ბოლო მატჩებშიც — სწორად არ ვითამაშეთ. არადა, ხალხს ჰგონია და ისე ჩანს, რომ არ ვიბრძვით. როცა არასწორად თამაშობ, ბრძოლა უკვე გვიანაა. თამაშს ბრძოლა კი არ იგებს, არამედ სწორი თამაში და მერე ბრძოლა.

**— იმ ფეხბურთელებით დღეს საქართველოს რომ ჰყავს, ერთ-ორი პრინციპული მატჩის მოგება შესაძლებელია, მაგრამ გასწვდება ეს რესურსი შესარჩევი ციკლის დაძლევას?**

— არ ვიცი. მართალი გითხრათ, არ მინდა დაზეპირებული, გაზუთხული ლაპარაკი გამომივიდეს. ის ვთქვა, რაც ხალხისთვის საჭიროა ანუ პოლიტიზებული საუბარი, როცა წინასწარ იცი, რა უნდა თქვა. დღეს საქართველოში ყველა ასე ლაპარაკობს და ეს ჩვენზეც გადმოვიდა — თითქოს სიმართლის თქმა არავის უნდა. მაგრამ რუსებთან მატჩი მართლაც განსაკუთრებული თამაშია. თუ მოკვდა პაიჭაძე და დაიბადა მესხი, თუ მოკვდა მესხი და დაიბადა ყიფიანი, ესე იგი, საქართველოში რესურსი არსებობს...



შოთა არველაძე უკვე შინაური კაცია: „სელტიკს" გაუტანა

**დავით თავართქილაძე**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი. (ახალგაზრდულები)

## საქართველო — რუსეთი

თბილისი. ეროვნული. 11 ოქტომბერი. 16 საათი

# კოპალეიშვილმა რუსეთი გაარჩია და საქართველო შეაგულიანა



ვახტანგ კოპალეიშვილი

**რუსებთან** მატჩისთვის სამზადისში ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა გუშინ პირველი ორსაათიანი ვარჯიში ჩაატარა. ფეხბურთელებმა სრული დატვირთვით ივარჯიშეს და უკვე ბინდდებოდა, სასტუმრო „მესაზღვრეს" გზას რომ დაადგნენ.

გუშინ უკვე ალარავის უკითხავს, „ნორჩი დინამოელის" ბალახის საფარიან მოედანზე ვინ ვარჯიშობსო. ერთნაირ, „ლოტოს" ფორმებში გამოწყობილი ნაკრები საამო საცქერი იყო. ვარჯიშის ერთ ნაწილს რომ მორჩებოდნენ, ფეხბურთელები მოედნის კიდესთან მირბოდნენ და „იზოლაინის" წვენებს სვამდნენ დახარჯული ენერგიის აღსადგენად. კვებაზე საწუწუნო არაფერი გვაქვსო, თავად მოთამაშენი აღიარებენ. მართალია, სასტუმრო „მესაზღვრე" სამეფო პალატებს არ მოგაგონებთ, მაგრამ ნაკრები იქ თავს მყუდროდ გრძნობს. მოკლედ, ახალგაზრდულ გუნდს ფეხბურთის ფედერაციამ წვრთნისა და დასვენებისთვის ნორმალური პირობები შეუქმნა. ჯერი კოპალას ბიჭებზეა.

მწვრთნელთა კორპუსი უასათიანობას უკვე შეეგუა. ნაკრებს კიდევ ერთი მოთამაშე, რუსთაველი ზაზაშვილი გუშინწინვე დააკლდა. „გორდას" უკანახაზელს მარცხენა ხელზე თაბაშირი დაადეს, მჭიდროდ შეუხვიეს და ზედმეტად დაძაბვა აუკრძალეს. მანაც „მესაზღვრედან" გულდანაბალი აიკრა და შინ გაეშურა.

სადღეისოდ კოპალეიშვილის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია. კიდევ ერთს, ზურაბ ხიზანიშვილს, ეროვნულიდან ელის ახალგზარდულის თავკაცი. ოციდან ორი 11 ოქტომბერს თამაშგარეშ დარჩება. ასეთია წესი და არავის სურს, ზედმეტი იყოს. ფეხბურთელთა ვარჯიშს ვინც უყურებს, მათ მოქმედებებში ბევრ წუნსაც შენიშნავს, მაგრამ ყველაზე მთავარი და დადებითი აღრევე შევატყვეთ ახალგაზრდებს. მათ მეტოქის არ ეშინიათ.

კოპალეიშვილი და მისი თანაშემწეები კი რუსების ჭირ-ვარამზე ფიქრობენ. მათ უკვე იციან, რომ სანკტპეტერბურგელი დმიტრი არშავინი გაზაფმა თავისთან იხმო და 11 ოქტომბერს ჩვენს ახალგაზრდებს ვერ შეაწუხებს. რუსებს დაცვაში გადაალაგილებებიც არ ასცდებათ, ხმამაღლა ფიქრობს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი. მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მოწინააღმდეგე კოლეგას დაცვის ორი ბურჯი დაუშავდა.

უნდა მოვიგოთ, იძახიან მწვრთნელები და ფეხბურთელებსაც ამას ჩასჩიჩინებენ. არ წავაგებთ, არ შევრცხვებითო, კვერს უკრავენ ნაკრების წევრები. ხვალ ბურთი და მოედანი მათი იქნება, დანაქადნსაც ასრულება მართებს, თორემ მერე მათ ნათქვამს არავინ დაიჯერებს. ხვალ „ეროვნულზე" რუსეთი უნდა წააქცეს.

**ბაჩუკა ქვანტალიანი**



დავით გოგიამ მეკარეებს გვარიანი ოფლი ადინა

### თბილისი. 6–9 ოქტომბერი
### ევროპის ჩემპიონთა თასი
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

9 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ნიკელი (რუსეთი) | 5 |
| იბერია 2000 (საქართველო) | 5 |
| ფრეიშერო (პორტუგალია) | 3 |
| ოლიმპი (ლატვია) | 1 |

საბოლოო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიკელი | 3 | 2 | 1 | 0 | 18:6 | 7 |
| ფრეიშერო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| იბერია 2000 | 3 | 1 | 1 | 1 | 10:9 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:15 | 0 |

# ასათიანის საქმე

*საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტორპედო" — „სიონის" მატჩისას მალხაზ ასათიანსა და ალექსანდრ შტელინს შორის მომხდარ კონფლიქტზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის გარბენილმა შავმა კატამ შესამჩნევი კვალი დატოვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც დაიმუქრა, ასათიანს დავსჯიო, თუმც როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, ჯერ „ტორპედოს" გადაწყვეტილებას ელოდებიან. კლუბი კი ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებს და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შესწავლას ცდილობს.*

*ამასობაში 21 წლის მალხაზ ასათიანმა ერთი სასჯელი უკვე მიიღო — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გუნდს რუსეთთან მოახლოებულ მატჩში დააკლდება.*

*წყალტუბოში მომხდარ ინციდენტზე გუშინდელ „სარბიელში" ქუთათურთა მწვრთნელ ალესანდრ შტელინის აზრს გაეცანით. დღეს კი „ტორპედოს" დირექტორატის წევრ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲡ მოვუსმინოთ*

## ტორპედო შტელინს ელის...

**— „ტორპედო" — „სიონის" მატჩისას ასათიანსა და შტელინს შორის მომხდარ ინცინდენტზე რას იტყვით? ალბათ, კლუბმა ეს საკითხი უკვე განიხილა...**

— ალექსანდრ შტელინის საქართველოში ჩამოსვლამდე ვერაფერს გეტყვით. რაც მოხდა, ძალიან ცუდია. ნაჩქარევად გადაწყვეტა არაფერს გვარგებს. კარგად უნდა გავერკვეთ სიტუაციაში და დასასჯელიც მერე დავსაჯოთ.

**— თავად შტელინთან ან ასათიანთან ხომ არ გისაუბრიათ მომხდარის შემდეგ?**

— ჯერჯერობით არა. უკვე გითხარით, შტელინი ჩამოვა და მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**— გუშინ ალექსანდრ შტელინმა გვითხრა, რომ კლუბში წერილი უნდა გამოეგზავნა...**

— მან დაწვრილებით მოგვწერა, რაც მოხდა და თავისი აზრიც გაგვიზიარა მალხაზის შესახებ. მწვრთნელი მოსკოვში კლუბის პრეზიდენტსაც შეხვდა და როგორც გავიგე, ზურაბ ხინიკაძეს ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონია მომხდარის თაობაზე. ეს მოსალოდნელიც იყო. ასეთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ვალდებულია, ის შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დაისაჯოს. აქ ლაპარაკი არაა მწვრთნელისთვის ხელის დარტყმაზე ან არდარტყმაზე. უბრალოდ, ფეხბურთელმა პატივი უნდა სცეს კლუბს. ის, რაც მატჩისას სათადარიგოთა სკამზე მოხდა, აღმაშფოთებელია. ამიტომ ასე სწრაფად რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. ჯერ კარგად უნდა გამოვიკვლიოთ, რამ გამოიწვია ყოველივე, რით არის ასათიანი უკმაყოფილო, ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვია. დამნაშავესაც მერე დავსჯით. ეს აუცილებლად მოხდება.

**— ასათიანი პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელია, თან მსგავსი რამ ადრე არ შემთხვევია...**

— ვერ დაგეთანხმებით. ის უკვე 21 წლის ჩამოყალიბებული პროფესიონალია. პერსპექტიული საქართველოში უამრავია, მაგრამ მთავარია, როგორ განავითარებ ნიჭს. კლუბმა ასათიანს ყველანაირი პირობა შეუსრულა, რაც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. ამიტომ მის პერსპექტიულობაზე ყურადღების გამახვილება არასწორად მიმაჩნია. დამნაშავე უნდა დაისაჯოს და ეს ყველაზე ვრცელდება. გინდ პერსპექტიული იყო, გინდ უპერსპექტივო. ასეთ უმსგავსოებას ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ. ხომ შეიძლება, იგივე სხვა რომელიმე კლუბში მოხდეს? ამიტომ არ უნდა დავუშვათ ის, რომ ამ ამბიდან ვინმე მშრალად გამოძვრეს.

**— მალხაზ ასათიანით ბოლოხანს გლაზგოს „რეინჯერსი" დაინტერესდა და როგორც გავიგეთ, ეს ვარიანტი რეალობასთან ახლოს იყო...**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ისე, დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არავის სჭირდება. ამიტომაც დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ყველაფერს უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ.

**ბაბა ზალამბერიძე**



## ... სადისციპლინო ტორპედოს

**დიდი** ინტერესი კი გამოიწვია გუშინდელმა სადისციპლინო კომიტეტის სხდომამ, მაგრამ სულ რაღაც ათ წუთში ერთ-ერთ რიგით შეკრებად გადაიქცა. სპორტის აკადემიის რექტორ ომარ გოგიაშვილის კაბინეტის შესასვლელთან თავშეყრილ მოსეირეებს ტორპედოელი მალხაზ ასათიანის ამბავი აინტერესებდათ, თორემ დინამოელმა არჩილ სახვაძემ და ბათუმელმა ირაკლი ჩიჩუამ მოედანზე რა ვერ გაიყვეს, რისთვის იჩხუბეს და რა სასჯელი ელოდათ, ისედაც ცხადი იყო.

შტელინი-ასათიანის საქმის ირგვლივ ფეხბურთის ფედერაციას მასალები არ გადმოუცია, ამიტომ საკითხს ვერ გავარჩევთო, თქვეს დისციპლინარებმა. თავად ფეხბურთელის ბოლოდროინდელი ქცევის შესახებ კი ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმა. ზოგიერთი მალხაზის სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდა. თავში აუვარდა, ცხვირი აწია და ამან მის თამაშზეც უარყოფითი გავლენა იქონიაო.

უნდა მოიკვეთოს — ასეთი ფრაზაც გაისმა ომარ გოგიაშვილის კაბინეტში. აშკარაა, სადისციპლინო კომიტეტში ასათიანს ძალიან მძიმე წუთების გადატანა მოუწევს, მაგრამ როდის, ეს ჯერ უცნობია.

ასათიანი რომ დასასჯელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ მოკვეთაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, მეტისმეტია. დღეს ჩვენ მხოლოდ შედეგს ვხედავთ. მალხაზი მწვრთნელისკენ გაიქაჩა, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რამ მიიყვანა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშე შეუფერებელ საქციელამდე?

ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს მოედანზე საქმის კეთება ევალება. ბოლო დროს კი ტორპედოელმა აშკარად უკლო. რატომ, რა მიზეზით, თუ იკითხა ვინმემ? თამაშის დაწყებამდე მალხაზი რომ ორტაიმმოლეული ფეხბურთელივით გრძნობს თავს, რატომ, თუ დაფიქრდნენ სპეციალისტები, ძალიან ემოციური რომ გახდა და ნერვებს ვერ იჭერს, რისი ბრალია?

მოკვეთაზე ადვილი რა არის, გაცილებით ძნელია, ბიჭი აზრზე მოიყვანო, რათა ნიჭი და მომავალი არ დაიკარგოს. ცხვირი აწიაო, პოდა, ჩაავლეთ იმ ცხვირში ხელი და ჩამოუწიეთ, მაგრამ მისი გულისტკივილიც გასათვალისწინებელია. ასათიანი ერთია, შემწუხებელი კი ათასი.

რადგანაც მთავარი საკითხი გაურჩეველი დარჩა, სადისციპლინო კომიტეტსაც განსახილველი ბევრიც არაფერი ჰქონდა და საქმეს — ერთ საათში მორჩა.

მარტვილში „სალხინო" — „მალაროელის" მატჩის შემდეგ მასპინძელ ფეხბურთელ ემზარ ძაგანიას და ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავკაც ემილ გალდავას მთავარ მსაჯ დავით კვტენაძისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ. ხელი რამდენიმე ქომაგმაც გამოილო და თანამსაჯებიც შავ დღეში ჩააგდესო, წერია მსაჯ-ინსპექტორის პატაკებში.

მარტვილის პოლიციას და გამგეობის აპარატს დროულად აღუკვეთია ინციდენტი, ესეც მსაჯის პატაკში წერია. თავად კლუბის წარმომადგენლებმა მომხდარისთვის ბოდიში მოიხადეს, ფეხბურთელი ძაგანია გუნდიდან უკვე დავითხოვეთ, ხოლო ფედერაციის თავკაცის მოქმედებასაც მკაცრი შეფასება მივეცითო.

ფეხბურთელ ემზარ ძაგანიას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და ათასი ლარი ჯარიმა ერგო, ემილ გალდავას კი ფეხბურთის ფედერაცია გამოუტანს განაჩენს. თანამდებობიდან მის გადაყენებას მოვითხოვთო, განაცხადეს დისციპლინარებმა.

სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. უახლოესი ტურის საშინაო მატჩს „სალხინო" სენაკის სარბიელზე ჩაატარებს.

დამშვიდობებისას მარტვილელებმა დაიბარეს, მართალია, ფინანსურად გვიჭირს, გუნდს ფეხბურთზე შეყვარებული ორიოდ ენთუზიასტის წყალობით ვინახავთ, „სალხინოსთან" ერთად 300-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. კარგი თაობა იზრდება და სულ მალე ერთ ხურცილავას კიდევ გავუზრდით ქართულ ფეხბურთსო.

6 ოქტომბერს ბათუმში, „ბათუმი" — „დინამოს" მატჩის 44-ე წუთზე, მასპინძელი ჩიჩუა და სტუმარი სახვაძე კრივზე გადასულან. მსაჯ კვარაცხელიას ორივე გაუძევებია და თითოეულს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ჩიჩუა და სახვაძე 100-ლარიან ჯარიმასაც გადაიხდიან.

4 ოქტომბერს თბილისში „ვაკე 91" — „თორის" თამაში ჩაშლილა. წვიმის გამო „ნორჩი დინამოელის" ბალახის საფარიან მოედანზე სტუმარ-მასპინძელი არ შეუშვიათ, ხელოვნურ საფარზე ითამაშეთო. ბორჯომელ ფეხბურთელებს ექვსქაცვიანი ბუცები ჰქონიათ და არც ხალიჩაზე უთამაშებიათ. „თორი" მოგების გაფორმებას მოითხოვდა, მასპინძელმა მოედანი ვერ დაგვახვედრაო, „ვაკე 91" — გადათამაშებას. თან სტუმრის სამგზავრო ხარჯების ანაზღაურებას მასპინძლები კისრულობდნენ — 200 ლარი ბორჯომიდან თბილისში სამგზავროდ და უკან დასაბრუნებლად საკმარისიაო, ამბობდნენ დედაქალაქური გუნდის წარმომადგენლები. გუნდის მგზავრობა და კვება გაცილებით ძვირი დაგვიჯდებაო, იჟინებდნენ ბორჯომელები.

სადისციპლინო კომიტეტმა გადათამაშება ბრძანა. „თორის" წარმომადგენელმა კი პირდაპირ წაგება ჩაგვითვალეთ, აქ მეორედ ჩამომსვლელი არ ვართო, მაგრამ ბორჯომელთა პროტესტს ყურიც არავინ უგდო.

**ბაჩუკა ქვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
ჩემპიონული ლიგა 14
პირველი წრე

აღმოსავლეთი

მეოთხე ტური

9 ოქტომბერი

**კახეთი — კრწანისი 0:2; სიონი 2 — ჰერეთი 0:0; შავნაბადა — ნორჩი დინამოელი 0:0; სამგორი — მეუდი 1:3; დინამო 2(სოხ.) — ზოოვეტი 2:6; დინამო 3 — პოლიციის აკადემია 2:0; ერთობა — გორდა 2 0:3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეუდი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:2 | 12 |
| დინამოელი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:0 | 10 |
| ჰერეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 |
| ზოოვეტი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 |
| გორდა 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| სიონი 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:1 | 8 |
| დინამო 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| კრწანისი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| კახეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| შავნაბადა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| პოლ. აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |
| სამგორი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:14 | 0 |
| დინამო 2 (სოხ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |
| ერთობა | 4 | 0 | 0 | 4 | 0:21 | 0 |



REUTERS

მატჩი რომ არ შეწყვეტილიყო, ბეტისელ იტოს და რეალელ რონალდოს თამაში არ ეწერათ

# დრომ რეალზე იმუშავა

## ვინ შეედრება ბეტისს?

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი

გადადებული მატჩი

**ბეტისი 1:1 რეალი**

1:0 კაპი (35), 1:1 რაული (51)

ბეტისი: პრატსი, ლუის ერნანდესი, ხუანიტო, რივასი (იტო 43), ასუნსაო, ვარელა, კაპი, არზუ, ალფონსო, დენილსონი, ხოაკინი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგე რა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (რონალდო 43), მაკელელე, კამბიასო, ზიდანი, რაული (მაკმანამანი 76), გუტი (სოლარი 86)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: ზიდანი, ასუნსაო

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

52 500 მაყურებელი

**14 სექტემბერს** დაწყებული და შუქის ჩაქრობის გამოისობით შეწყვეტილი მატჩი ამ სამშაბათს დასრულდა. გუნდებმა დარჩენილი 47 წუთი გაითამაშეს.

თამაში, როგორც ამგვარ შემთხვევებშია მიღებული, მოედნის კიდესთან სადავო ბურთით დაიწყო და ერთი ამოსუნთქვით გაილია. საგოლე მომენტები, იცოცხლეთ, ბლომად იყო, მეტწილად, „რეალის" კართან. ჯერ კიდევ პირველი ტაიმის დარჩენილ ორ წუთში ბეტისელთა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მარკოს ასუნსაომ ოცდახუთიოდე მეტრიდან მძლავრად დაჰკრა და ოდნავ ააცილა კარს. მყისვე ზინედინ ზიდანმა უპასუხა, რომლის დარტყმულიც უფრო ზუსტი კი იყო, მაგრამ მაინც არასაკმარისად — ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე „რეალმა" ანგარიში გაქვითა. შეგახსენებთ, რომ მატჩის შეწყვეტამდე „ბეტისი" კაპის გოლით იგებდა. საპასუხო კი რაულმა გაიტანა რობერტო კარლოსის პასით. ბრაზილიელს თავის მხრივ რონალდომ ჩააწოდა, რომელიც 14 სექტემბერს სათადარიგოთა შორისაც არ ყოფილა. რონალდოზე კიდევ ის ვთქვათ, რომ მას ერთი ბრწყინვალე შანსი მიეცა, მაგრამ გააფუჭა — მასპინძლებს მისი თამაშგარეთ ჩატოვება არ გამოუვიდათ, ისიც გაიჭრა, დარტყმა კი კარს ასცდა.

ბეტისელები რაულის გოლს არ შეუშინებია. ძალუმ შეუტიეს და საფინალო სასტვენამდე უპირატესობასაც ფლობდნენ. გამორჩეულად სახიფათონი მათი ფრთები იყვნენ — ხოაკინი და დენილსონი, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე ფერნანდო იეროსთან ვერაფერს გახდნენ.

ამგვარად, „რეალი" მესამე ადგილზე აცოცდა და ორი ქულით ჩამორჩება გალიდერებულ „სელტასა" და „რეალ სოსიედადს". „ბეტისი" ცოტა ქვევითაა, თუმც ქომაგს მისი სასაყვედურო არაფერი აქვს — ერთი, რომ გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია და მეორეც, „ბარსელონას" და „რეალს" ოთხი ქულა აართვა. ვინძლო, სეზონი ისე მიილევა, პრიმერადივიზიონის სუპერკლუბებთან ამდენ ქულას ვერავინ მოიხვეჭს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| სოსიედადი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:9 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 11 |
| ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| ბეტისი | 5 | 2 | 3 | 0 | 12:7 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| რასინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ვალიადოლიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ატლეტიკო | 5 | 1 | 3 | 1 | 9:7 | 6 |
| მალიორკა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| რაიო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| სევილია | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| ალავესი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ბილბაო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ვილიარეალი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ოსასუნა | 5 | 0 | 2 | 3 | 8:13 | 2 |
| უელვა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |
| ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |

# სევილიური დერბი: ცხადია, იჩხუბებდნენ

**ამჯერ** ზედიზედ მეორე სევილიური დერბი არეულობით დასრულდა.

წინა სეზონში „ბეტისის" სტადიონზე მოხდა აყალმაყალი და ეს „ლუის დე ლოპერას" ორმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. რაკილა სეზონის ბოლო იყო, დისკვალიფიკაცია „ბეტისის" არენას ამ სეზონში გადმოჰყვა. ამჯერად კი დისკვალიფიკაცია „სევილიას" „სანჩეს პისხუანს" ემუქრება.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სევილია" — „ბეტისის" მატჩის დასაწყისში, „სევილიას" მავანი გულშემატკივარი მოედანზე შეიჭრა და „ბეტისის" მეკარე ტონი პრატსს თავს დაესხა.

ამის გარდა, თამაშის მსვლელობისას ტრიბუნებიდან მოედანზე მაშხალები ცვიოდა. ამ ყველაფერს უკვე ნამატჩევს ფანებსა და პოლიციას შორის შეტაკებაც დავუმატოთ და დისკვალიფიკაციის მიზეზიც მზად არის.

„არ მჯერა, რომ ჩვენს სტადიონს დისკვალიფიკაციას მისცემენ. ჩვენ ხომ უსაფრთხოებისთვის, რაც შეგვეძლო, ყველაფერი ვილონეთ" — განაცხადა „სევილიას" პრეზიდენტმა დელ ნიდომ.

პრეზიდენტის აზრს არ იზიარებენ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში. ფედერაციის გენერალური მდივნის ხერარდო გონსალესის თქმით, ასეთი ექსცესები ესპანური ფეხბურთის სირცხვილია. „ეს ჩვენს იმიჯს ლახავს. არადა, ამ სეზონში სევილია უეფას თასის ფინალს მასპინძლობს" — განაცხადა გონსალესმა.

აღნიშნულ ინციდენტს ესპანეთის მთავრობაც გამოეხმაურა. მთავრობის გადაწყვეტილებით, სტადიონებზე უსაფრთხოების ზომები კიდევ უფრო გამკაცრდება.

**სერგი ძორიძე**



ბეტისელი დენილსონი (№16) და სევილიელი ვინი სემვისი: სევილიური დერბი დაუნდობელი რამაა

# მარადონაზე ძვირი

## ნატანჯი კაცის აღსარება



მარკ ოვერმარსი თანაგუნდელთა მიწევ-მოწევასაც აპირებს

**შორს** აღარ არის ის დღე, „ბარსელონას" ჰოლანდიელი გარემარბი მარკ ოვერმარსი კვლავ რომ გავა „კამპ ნოუს" მინდორზე. მოგეხსენებათ, მუხლის მძიმე ტრავმამ ის ოთხი თვით ჩამოაშორა ფეხბურთს. მთელი წინა სეზონი ოვერმარსს ტრავმა სტანჯავდა და მაისში ოპერაცია გაიკეთა.

„ილუზია, რომ დაბრუნებისთანავე სასტარტო შემადგენლობაში ვიქნები, არ მაქვს — უთხრა ფეხბურთელმა ესპანურ სპორტულ გაზეთ „მუნდო დეპორტივოს" — მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ შანსი მომეცემა და აუცილებლად გამოვიყენებ."

შეგახსენებთ, რომ ოვერმარსი „ბარსელონას" ყველა დროის უძვირესი შენაძენია. 2000 წლის ივლისში კატალონიელებმა ლონდონის „არსენალს" მასში 35,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს. „ბარსელონას" ამდენი მარადონა, რივალდო და რონალდო არ დაჯდომია. აქვე დავძენთ, რომ ოვერმარსს 35 მილიონისა ჯერ არ უმუშავია. ახლა რამდენისას გაირჯება, ვნახოთ — თავადვე ამბობს, ასე კარგად რა ხანია, არ ვყოფილვარო:

„ფიზიკურად თავს იდეალურად ვგრძნობ, ბევრად უკეთ, ვიდრე შარშან ვიყავი. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ტანჯვა გამოვიარე. ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით გავდიოდი მოედანზე და საფინალო სასტვენამდე ძლივს ვძლებდი.

იმ ყაიდის ფეხბურთელი ვარ, საგოლე მომენტის შექმნა რომ შეუძლია. სწორედ საგოლე მომენტების სიმრავლე გვაკლდა „ოსასუნასთან" მატჩისას."

ლუის ვან გაალმა თქვა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ორ-სამ მატჩში თუ ვერ გამოიჩენს თავს, სათადარიგოთა სკამზე მოუწევს გადაჯდომაო. მოკლედ, შანსი ყველას გვაქვს".

**გიორგი დარჯანია**

### პორტუგალია

I ლიგა. VI ტური

**ბოავიშტა 2:1 ვარზიმი**

1:0 ე. სანჩესი (32), 1:1 რ. კორეია (43), 2:1 კ. სუზუ (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 14 |
| ბენფიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| გიმარაეში | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 3 |
| ბელენენსეში | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| ფეირეირა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| ბრაგა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| სპორტინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| ბოავიშტა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| სეტუბალი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:5 | 9 |
| ნასიონალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ვარზიმი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| სანტა კლარა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| მარიტიმუ | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| ლეირია | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ბეირა მარი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| მორეირენსე | 6 | 1 | 0 | 5 | 6:12 | 3 |
| აკადემიკა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში ნამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და მოლაპარაკება, გარანტია
Titan ტიტანი მასტერი
Zeus ზევსი
Billjardal
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, ჟუნაძის ქ. 2

### ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

**გრიმსბი 3:0 იფსვიჩი**

1:0 კ. დოიგარი (8), 2:0 ბუტრონი (18), 3:0 კ. დოიგარი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 12 | 10 | 1 | 1 | 28:10 | 31 |
| ლესტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 19:10 | 27 |
| ნორვიჩი | 12 | 7 | 4 | 1 | 21:7 | 25 |
| ნოტინგემი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:13 | 23 |
| შეფილდი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| ქოვენთრი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| უოტფორდი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:18 | 21 |
| როტერჰემი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:17 | 18 |
| რედინგი | 12 | 5 | 2 | 5 | 14:12 | 17 |
| დერბი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:17 | 16 |
| ბარნლი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:17 | 15 |
| ბრედფორდი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:17 | 15 |
| ჯილინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:18 | 15 |
| ვულვზი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:16 | 14 |
| სტოკი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| უოლსოლი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:18 | 14 |
| კრ. პალასი | 12 | 2 | 7 | 3 | 15:15 | 13 |
| პრესტონი | 12 | 2 | 7 | 3 | 15:18 | 13 |
| იფსვიჩი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:11 | 12 |
| მილუოლი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 |
| უიმბლდონი | 12 | 3 | 1 | 8 | 10:18 | 10 |
| უენსდი | 12 | 1 | 6 | 5 | 10:17 | 9 |
| გრიმსბი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:21 | 8 |
| ბრაიტონი | 12 | 1 | 1 | 10 | 9:21 | 4 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



წილისყრამ კრის სატონი ორ ცეცხლს შუა მოაქცია

# კენჭისყრამ ძველი ამბები გაიხსენა

**უეფას თასის** მეორე ეტაპის მატჩებში (31 ოქტომბერს და 14 ნოემბერს) ერთმანეთს რამდენიმე საინტერესო წყვილი დაუპირისპირდება. ზოგი შეხვედრის საცქერლად სტადიონზე მისულთ არა მარტო ფეხბურთის სიყვარული, არამედ, სხვა რამ, უფრო დიდი და ძველი მეტოქეობა დაძაბავს. ისე მოხდა, წილისყრამ სქოთები ინგლისელებს დააჯახა, ბერძნები — თურქებს.

შოტლანდიელები თავიანთ ოდინდელ, გინდ საფეხბურთო, გინდ არასაფეხბურთო მოქიშპე ინგლისელებს ამჯერად ქვეყნის ჩემპიონს, გლაზგოს „სელტიკს" შეაგებებენ. მეტოქე ლიგის თასის მფლობელი „ბლექბერნი" იქნება. ბრიტანული მედია უკვე ახმაურდა, რალაც-რალაცეებს იხსენებს. მაგალითად, ზოგიერთებმა 1997 წლის „სელტიკი" — „ლივერპული" გაიხსენეს. მაშინ, საპასუხო მატჩში, „ლივერპულმა" სტივ მაკმანამანის გვიანი გოლით ანგარიში 2:2 გახადა და სქოთები უეფას თასის პირველივე ეტაპიდან დაიფრინა.

„ბლექბერნ" — „სელტიკის" მატჩს ინტერესს კრის სატონიც მატებს, რომელსაც ამჟამად შოტლანდიის ჩემპიონთა მაისურა მოსავს, 1995 წელს კი „ბლექბერნის" შემადგენლობაში პრემიერლიგა აქვს მოგებული. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისური კლუბის თავმჯდომარე ტიმ ფინი და ამატებს: „ჩვენ კმაყოფილები ვართ. წინ დიდი მატჩები გველის. „სელტიკი" უნდა გავიაროთ. გარდა ამისა, ჩვენ კრის სატონსაც ვაკვირდებით და მის უკან დაბრუნებაზეც ვფიქრობთ."

თურქულ — ბერძნულ დაპირისპირებასაც საკმაო ისტორია აქვს. ბევრი შიშობს კიდეც, „პანათინაიკოსი" — „ფენერბაჰჩეს" მატჩები უექსცესოდ არ ჩაივლისო. თუმცა თურქული კლუბის კოორდინატორი, მავანი სამი ქოლგეტქენი სულაც არ დარდობს, მატჩებზე არაფერი მოხდებაო, ამბობს: „დარწმუნებული ვარ, ყველაფერი რიგზე იქნება. პირიქით, ჩვენ ძალიან კარგი შანსი გვაქვს ბერძნულ — თურქულ ურთიერთობაში ნაბიჯით წინ წავიწიოთ."

კოორდინატორი კოორდინატორად, მაგრამ ამ ორი ხალხის დაძაბულ ურთიერთობას რომ თავი ვანებოთ, ამ გუნდების გულშემატკივართა გიჟმაჟობა კარგად მოგეხსენებათ. რაღა შორს წავიდეთ, ამას წინათ, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი მატჩის დროს, მოედანზე ნასროლი საგნებისა და სტადიონის კვამლში გახვევის გამო, სტამბოლური გუნდისა და „ფეიენოორდის" შეხვედრა ნახევარი საათით შეწყდა. უეფამ „ფენერბაჰჩე" ორმოცდაათი ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.

გულშემატკივართა უწესობის გამო ამ სამიოდ წლის წინ უეფას თასის გათამაშებიდან პოლონური „ვისლა" მოკვეთეს. დისკვალიფიკაცია ერთწლიანი იყო. ვისლელთა სამი წლის წინანდელი მეტოქე, უეფას თასის მეორე ეტაპზე, იტალიური „პარმა" გახლდათ. პარმელებმა ორი მატჩის ჯამში 3:2 იმარჯვეს, თუმცა პოლონელებმა მომავალ თასის მფლობელს („პარმამ" ფინალში „მარსელს" სძლია) გაწბილება ძვირად დაუსვეს, ტრიბუნებიდან ათასგვარი საგნების წვიმა დაუშინეს. დინო ბაჯოს შორიდან ნასროლი დანა შეერჭო.

ახლაც წილისყრამ „პარმა" და „ვისლა" კვლავ უეფას თასის იმავე ეტაპზე დაუპირისპირა ერთმანეთს.

მეორე იტალიურ გუნდს, „ლაციოს", მეტოქედ „ცრვენა ზვეზდა" ერგო. იუგოსლავიელთა სპორტული დირექტორი დუშან სავიჩი ამბობს: „ლაციო" ძლიერი მოწინააღმდეგეა. თანაც ამჟამად კარგ ფორმაშია. რომაელთა რიგებში ყოფილი ჩვენიანები არიან — სინიშა მიხაილოვიჩი და დეიან სტანკოვიჩი. ესეც დამატებითი ფაქტორი იმისა, რომ ორივე თამაში, რომშიც და ბელგრადშიც, საინტერესო იქნება და სტადიონებიც პირთამდე გაივსება."

მართალია, ებრაელებსა და ინგლისელებს გასაყოფი არაფერი აქვთ, მაგრამ პალესტინელების გადამკიდე თელ ავივის „ჰაპოელი" იორკშირულ „ლიდსს" შინაურ კედლები ვერ უმასპინძლებს. პირველი მატჩი „ელანდ როუდზე" ჩატარდება, საპასუხო კი იტალიაში, კვიპროსში ანაც შვეიცარიაში. ისრაელელებს გულით სწადიათ უეფას დარწმუნება, მატჩის უსაფრთხოდ ჩატარების შნო ნამდვილად გვაქვსო, მაგრამ ახლოაღმოსავლურ სტაბილურობას ძნელად თუ ენდობა ვინმე.

„ლიდსსაც" სადმე ევროპაში თამაში უფრო აძლევს ხელს, რადგან არაბ ტერორისტებს რომ თავი ვანებოთ, „ჰაპოელი" ის გუნდია, ვისაც დიდ გუნდებთან მეტოქეობა ეხერხება. მას უეფას თასის შარშანდელი გათამაშებიდან ინგლისური „ჩელსი" ჰყავს გაგდებული.

ლონდონური „ფულემი" წილისყრამ კვლავ ხორვატიაში დააბრუნა. პირველ ეტაპზე ინგლისელებმა სპლიტის „ჰაიდუკი" დაამარცხეს, ახლა კი ზაგრებში „დინამოს" მოსაგებად უნდა ჩავიდნენ. აქაც არის პატარა საჩოთირო საკითხი: „ფულემი" სპლიტელ ქომაგებს, მათ რიგებში მოთამაშე ზანგი ფეხბურთელების კანის ფერის გამო გვარიანად უმასხარავებიათ.

**გიორგი გამგარდაშვილი**

# ინტერვიუ დიდ ფილთან
## სკოლარის სომბრეროს ახურავენ

**მოგეხსენებათ,** მექსიკა ეროვნული გუნდისთვის კვლავაც მწვრთნელის ძიებაშია. ძველმა დამრიგებელმა ხავიერ აგირემ პოსტი მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ამერიკელებთან დამარცხების მერე დატოვა. კანდიდატების ვინაობაც გაგაცანით: ბრაზილიელთა გამსოფლიოსჩემპიონებელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, არგენტინელი კარლოს ბიანკი, მექსიკური წარმოშობის არგენტინელი რიკარდო ლავოლპე და მადრიდის „რეალის" ყოფილი დიდვარსკვლავი უგო სანჩესი. იმასაც ვწერდით, რომ სანჩესმა მალევე მოხსნა თავისი კანდიდატურა, აქაოდა, ნაკრების გაწვრთნისთვის ჯერ მოუმზადებელი ვარ და არ მინდა მექსიკელი ხალხი გავაწბილოო. მოკლედ, სამნი დარჩნენ და მათგან ერთთან, ფელიპე სკოლარისთან, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს გუშინწინ გასაუბრება ჰქონდათ.



საქმე იქით მიდის, მექსიკელები ლუიშ ფელიპე სკოლარის არჩევენ და კარლოს ბიანკის კვლავ უმუშევრად დატოვებენ

„ბევრი ფიქრობს, რომ სკოლარისთან საუბარს ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რაკი ამ სპეციალისტის მუშაობის სტილი და შედეგები საყოველთაოდ ცნობილია. ასე არ არის, ყველა გუნდს თავისი სპეციფიკა აქვს და ის მეთოდები, რითაც სკოლარიმ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, მექსიკის ნაკრებში მუშაობისას შესაძლოა უსარგებლო გამოდგეს. ამიტომ გასაუბრება და მოსაზრებების გაცნობა აუცილებელი გახლდათ" — განაცხადა შეხვედრის მერე მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალბერტო დე ლა ტორემ. დავძინოთ, რომ შეხვედრა ამერიკაში, მაიამის ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა.

„გვსურდა გაგვეგო, რამდენად ერკვეოდა სკოლარი მექსიკური ფეხბურთის თავისებურებებში. მინდა გითხრათ, რომ მან საუკეთესო შთაბეჭდილება დაგვიტოვა — თქვა პრეზიდენტმა — დღეს მისი მწვრთნელად დანიშვნის ალბათობა ბევრად დიდია, ვიდრე შეხვედრამდე იყო."



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელსაც სამშობლოში „დიდ ფილად" და ფელიპაოდ იხსენიებენ, თოთხმეტი თვე იმუშავა ბრაზილიის ნაკრებში, გერმანიასთან ფინალიდან ხუთი კვირის თავზე კი გადადგა. როგორც თავადვე განაცხადა, ოჯახისთვის მეტი ყურადღების დათმობა და ამასთანავე ბრაზილიის ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონად წასვლა სურდა.

ახლა სკოლარი ამბობს: „მექსიკის ნაკრებში მუშაობა ჩემთვის საინტერესოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, აქ არც ვიქნებოდი. მექსიკელებთან შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი. მათ თავისი მოსაზრებები გამაცნეს, მე — ჩემი."

დე ლა ტორეს თქმით, ფედერაცია გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მიიღებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მწვრთნელობის ყველაზე დიდი შანსი სწორედ სკოლარის აქვს.

კარლოს ბიანკი, ვინაც „ბოკა ხუნიორსს" სამჯერ მოაგებინა არგენტინის ჩემპიონატი, ხოლო ორი წლის წინ ლიბერტადორესის თასი აალმართვინა, ამჟამად უმუშევარია. ყოფილი გოლკიპერი რიკარდო ლავოლპე კი მექსიკაში, აპერტურას ლიდერ „ტოლუკაში" მუშაობს.

**გიორგი დარჯანია**

# ეცი, დაკაწრე, უკბინე!

ვინ დათვლის, რამდენი ჰამბურგერი უგემია რაინერ კალმუნდს. ლევერკუზენის „ბაიერის" მენეჯერს ადრეც უთქვამს, რაც უფრო მეტს ვნერვიულობ, მით უფრო მეტად მინდება ჰამბურგერიო.

სანერვიულო, იცოცხლეთ, სეზონის დაწყებიდან იმდენი აქვს, ვინ მოთვლის.

ზოგიერთ მიზეზზე, რამაც გუნდის ოლროჩოლრო ბურთაობა გამოიწვია, რაინერ კალმუნდმა გერმანელ ჟურნალისტთან ისაუბრა.

**— რა დაემართა „ბაიერს"?**

— ვფიქრობ, ამის გასარკვევად ყველანი უნდა შევიკრიბოთ და დღევანდელი ვითარება გავაანალიზოთ. ბოლო თამაშმა „ვოლფსბურგთან" (ლევერკუზენელებმა 0:2 წააგეს) კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პრობლემები თავზესაყრელად გვაქვს. ამჟამად მთავარია, როგორმე ცხრილის ქვედა ნაწილიდან ამოვძვრეთ.

**— საამისოდ რა კეთდება?**

— იცით, თავის მართლება რომ დავიწყოთ და ტრავმირებულ ფეხბურთელებზე ლაქლაქს მოვყვეთ, არაფერი გამოვა. გუნდს უდიდესი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მხოლოდ პოტენციალით ვერაფერს მიაღწევ, ის თამაშის მსვლელობისას ბოლომდე უნდა გამოიყენო. საჭიროა ბრძოლა თითოეული ბურთისთვის, თითოეული გოჯისთვის. მეტოქის დაკაწვრას და კბენასაც არ უნდა მოერიდო.

**— წინა სეზონის „ბაიერი" ხშირად გახსენდებათ?**

— ის უკვე წარსულია და მისი გახსენება რა ხეირია. ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები. არ შეიძლება დღეს ფეხბურთის თამაში და თან ცალი თვალით წარსულის ჭვრეტა.

**— თუმცა, რამდენიმე კარგი მატჩი გუნდმა მაინც ჩაატარა...**

— მართალია. ერთი „მანჩესტერ იუნაიტედთან", მეორე კი „ბაიერნთან". ამ შეხვედრებში იმიტომ გამოვიყურებოდით კარგად, რომ ფეხბურთელებმა მოედანზე ყველაფერი დადეს. მხოლოდ ასი პროცენტით დახარჯვის შემთხვევაში მიაღწევ სასურველ შედეგს.



რაინერ კალმუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# იმედმა შიშს აჯობა
## ტრეზეგე სისულელეა



ჟაკ სანტინიმ ფრანგთა კაპიტან მარსელ დესაის კუნთები ველოსიპედზე გაავარჯიშებინა

### შოტლანდია

**შოტლანდიელთა** დალმა წასულ საქმეებს ბერტი ფოგთსის მისვლამ ჯერჯერობით ვერაფრით არგო. ამხანაგურ მატჩებში პირწმინდად განადგურებულ სქოთებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ფარერელებმაც შავი დღე აყარეს. კი, ის თამაში, გეხსომებათ, 2:2 დასრულდა, მაგრამ ფარერებს რომ ვერ მოუგებ, შავად გაქვს საქმე, აბა, რა?

ხეირი ჯერ არ ჩანს, მაგრამ არის იმედი. შაბათს, რეიკიავიკში, ისლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისას, ბერტი ფოგთსის იმედს კონკრეტული სახელი აქვს — ბარი ფერგიუსონი.

რეინჯერსელმა ნახევარმცველმა გასულ უქმეებზე, სრულიად შოტლანდიურ დერბიში, „სელტიკთან" სრულად კი ითამაშა, მაგრამ გასახდელში ფეხის ტკივილმა ისე შეაწუხა, „რეინჯერსის" თავკაცმა ალექს მაკლიშმა მაშინვე განაცხადა, ფრიად საეჭვოა, ფერგიუსონი ნაკრებს რამეში გამოადგესო.

ფოგთსის იმედმა მაკლიშის შიშს სძლია. დამბარტონში დაბანაკებული ნაკრების გერმანელმა მეთაურმა გუშინ ჟურნალისტებს უთხრა, კლუბის ექიმებმა ბარის ისე კარგად უწამლეს, ტკივილი დაავიწყეს და ნაკრებთან ერთად წამოვა ისლანდიაშიო. სქოთები რეიკიავიკში დღეს გაემგზავრებიან.

„ფერგიუსონი ჩვენთვის უდიდესი ძალაა. გვესმის, რომ მისი მოედანზე გაყვანით გარკვეულ რისკზე მივდივართ, მაგრამ ეს რისკი უმნიშვნელო და გამართლებულია. ვიმედოვნებ, თამაშის წინ ტკივილგამაყუჩებელი ნემსების გაკეთება არ დასჭირდება. რაც მთავარია, ბარის თავად სურს თამაში" — დასძინა ფოგთსმა.

ბარი ფერგიუსონი იმ ექვს ფეხბურთელს შორისაა, რომლებიც „დამბარტონის", მეორე სქოთური დივიზიონის გუნდის ბაზაზე საისლანდიო მზადებას გამოაკლდნენ. რეინჯერსელმა ნილ მაკკანმა, ვინაც „სელტიკთან" შეცვლაზე ითამაშა, ეგებ ვერც შეძლოს ისლანდიასთან გასვლა, რაკი მყესები აწუხებს. სანაკრებოდ არ უვარჯიშიათ სელტიკელ ნახევარმცველ პოლ ლამბერტს და ჰართსელებს — სტივენ პრესლისა და სკოტ სევერინს, თუმცა ამ სამეულს ჯანმრთელობა წესრიგში აქვთ, უბრალოდ დასვენება სჭირდებოდათ.

მცირედი ტრავმა აქვს მიდლსბროელ მცველ რობი სტოკდეილს, თუმცა შაბათს არც მისი თამაშია გამორიცხული.

სელტიკელი მეკარის, რობერტ დუგლასის ორმა შეცდომამ „რეინჯერსთან" (ერთ-ერთს შოთა არველაძის გოლი მოჰყვა), ბერტი ფოგთსი გვარიანად ჩააფიქრა, თუმცა ბოლოს მაინც ასე განსაჯა — დუგლასი კვლავ პირველი მეკარე იქნებაო:

„შეცდომა ვის არ მოსვლია. „რეინჯერსთან" რობერტის დღე არ იყო. თუმცა ახლა, ვარჯიშზე რომ ვაკვირდები, აბსოლუტურად თავდაჯერებულად გამოიყურება. ის „სელტიკშიც" პირველი მეკარეა და ჩვენთანაც პირველ ნომრად რჩება."

„ნოტინგემ ფორესტის" ნახევარმცველი გარეთ უილიამსი და „სანდერლენდის" თავდამსხმელი კევინ კაილი ბერტი ფოგთსმა თავისთან მიიწვია, მაგრამ საბოლოოდ ახალგაზრდულ გუნდს გადაულოცა.

**თენგიზ ფოფხაძე**



ბერტი ფოგთსმა გაიცინა და ჯეიმი მაკფადენი და მორის როსიც გაიცინა

### საფრანგეთი

**საფრანგეთის ნაკრების** სათადარიგო მოიერიშე ოლივიე კაპო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ორ მატჩს — სლოვენიასთან და მალტასთან — გამოტოვებს.

კაპოს კოჭის ტრავმა ვინძლო ერთი ჩვეულებრივი ამბავი იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ „ოსერის" მთავარმა გოლეკ, ერთ დროს „ლურჯების" ოქროს ბიჭუნა, დავიდ ტრეზეგე შეცვალის.

რაც საფრანგეთის ნაკრები წლევანდელ მუნდიალზე ჩაფლავდა, „იუვენტუსის" შემტევს ნაკრების მაისურა არ მოურგია. ტრეზეგე ნატკენ მუხლს მკურნალობდა, თუმც ესეც რომ არა, საეჭვოა, „ლურჯების" ახალი მწვრთნელის, ჟაკ სანტინის გუნდში ძირითადის კაცი ყოფილიყო. სანტინის ტრეზეგე რაღაც თვალში არ მოსდის და ოდენ სამარქაფო თავდამსხმელად იყენებს.

„რახან ტრეზეგე კაპოს მაგივრად გამოვიძახე, ესე იგი, სათადარიგოთა სკამზე იჯდება. ერთი რომ, ის ფორმაში არ არის და მეორე — მისი თამაშის სტილი არ შეესაბამება გუნდის ინტერესებს. დავიდი აღარ არის ნომერ პირველი თავდამსხმელი" — განაცხადა სანტინიმ.

ფრანგთა მწვრთნელი ახლა ტიერი ანრის და სტივ მარლეს ენდობადა სლოვენიასაც და მალტასაც ამ წყვილით შეუტევს.

სანტინი: „მარლე და ანრი შეწყობილად თამაშობენ. ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით და გოლებიც გააქვთ. ასეთი დუეტის გამოუყენებლობა უბრალოდ სისულელეა."

სანტინის არც ნიკოლა ანელკა დავიწყებია და ამ ვერგაბრწყინებულ ვარსკვლავზე თქვა, გამუდმებით ვაკვირდები და თუ სანაკრებოდ მზად იქნება, აბა, კარს ვინ მოუკეტავსო.

**ბაჩო სვანიძე**

*მეკარეები:* ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი);

*მცველები:* ჟერემი ბრეში (ლიონი), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ მექსეში (ოსერი), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);

*ნახევარმცველები:* ერიკ კარიერი (ლიონი), ბრუნო შეირუ (ლივერპული, ინგლისი), ოლივიე დაკური (ლიდსი, ინგლისი), კლოდ მაკელელე (რეალი, ესპანეთი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), სიდნეი გოვუ (ლიონი), სტივ მარლე (ფულემი, ინგლისი), სილვენ ვილტორდი (არსენალი, ინგლისი), დანიელ მორეირა (ლანსი)

### ისლანდია

*მეკარეები:* არნი არასონი (როზენბორგი, ნორვეგია), ბირკირ კრისტინსონი (ვესტმანაეიარი);

*მცველები:* ჰერმან ჰრეიდარსონი (იფსვიჩი, ინგლისი), ლარუს სიგურდსონი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), არნარ ვიდარსონი (ლოკერენი, ბელგია), ივარ ინგიმარსონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ბიარნი ტორსტეინსონი (მოლდე, ნორვეგია), გილფი ეინარსონი (ლილესტრომი, ნორვეგია);

*ნახევარმცველები:* რუნარ კრისტინსონი (ლოკერენი, ბელგია), ბრინიარ გუნარსონი (სტოკი, ინგლისი), იოჰანეს გუდიონსონი (ბეტისი, ესპანეთი), ჰაუკურ გუდნასონი (კეფლავიკი), ოლაფურ სტიგსონი (მოლდე, ნორვეგია);

*თავდამსხმელები:* ბიარნი გუდიონსენი (სტოკი, ინგლისი), ეიდურ გუდიონსონი (ჩელსი, ინგლისი), ჰელგი სიგურდსონი (ლინი, ნორვეგია), მარელ ბალდვინსონი (სტაბეკი, ნორვეგია), ჰეიდარ ჰელგუსონი (უოტფორდი, ინგლისი)

### ისრაელი

*მეკარეები:* დუდუ ავატე (მაკაბი, ჰაიფა), ლიორან სტრაუბერი (მაკაბი, თელ ავივი);

*მცველები:* არიკ ბენადო, ადორამ კეისი, ავიშაი ზანო (სამივე მაკაბი, ჰაიფა), გადი ბრუმერი, ავი სტრული (ორივე მაკაბი, თელ ავივი), ასი დომბი, იიგალ ანტები (ორივე ჰაპოელი, თელ ავივი), აბედ რაბაჰი (ჰაპოელი, ფეთაჰ თიკვა), ილან ბახარი (რასინგი, ესპანეთი);

*ნახევარმცველები:* ვალიდ ბადირი, მიხაელ ზანდბერგი (ორივე მაკაბი, ჰაიფა), ავი ნიმნი, ტალ ბანინი (ორივე მაკაბი, თელ ავივი), იოსი აბუქსისი, ომრი აფეკი (ორივე ჰაპოელი, თელ ავივი), ეიალ ბერკოვიჩი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ჰაიმ რევივო (ფენერბაჩე, თურქეთი), იდან ტალი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), იოსი ბენაიუნი (რასინგი, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* ქფირ უდი, პინი ბალილი (ორივე ჰაპოელი, თელ ავივი), ავი ტიკვა (იანგ ბოისი, შვეიცარია)

### ჰოლანდია

**კლარენს ზეედორფის** მილანურმა წარმატებებმა, ცხადია, ჰოლანდიის ნაკრების თავკაც დიკ ადვოკაატის ყურამდეც მიაღწია და მოზრდილხნიანი პაუზის შემდეგ ნახევარმცველს ეროვნულ გუნდში თამაშის საშუალება მიეცა. ზეედორფს ძალის დამტკიცება ავსტრიის ნაკრებთან მოუწევს — ევრო 2004-ის შესარჩევი ტურნირის მეორე ტურის მატჩი ვენაში გაიმართება.

ადვოკაატმა ნაკრებში დააბრუნა „გლაზგო რეინჯერსის" ფორვარდი რონალდ დე ბურიც. ტყუპისცალმა გასულ უქმეებზე მთავარშოტლანდიურ დერბიში „სელტიკს" გაუტანა. დე ბურს ნაკრების მაისურა თებერვლის მერე აღარ მოურგია. მაშინ ის ამსტერდამში ინგლისელებს ეთამაშა ამხანაგურად.

ნაკრებში დააბრუნეს მიდლსბროელი ჯორჯ ბოატენგიც, რომელმაც ბოლოს, დე ბურის მსგავსად, ინგლისელებთან ითამაშა.

ტრავმების გამო 20-კაციან შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ფეიენოორდელები, პატრიკ პაუვე და პოლ ბოსველტი, ასევე ეინდჰოვენელი კევინ ჰოფლანდი.

**ირაკლი ბერტაია**

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* ფრანკ დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი), ვილფრედ ბუმა (პსვ ეინდჰოვენი), ანდრე ოიერი (პსვ ეინდჰოვენი), მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (ლაციო, იტალია);

*ნახევარმცველები:* ჯორჯ ბოატენგი (მიდლსბრო, ინგლისი), მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), რონალდ დე ბური (რეინჯერსი, შოტლანდია), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)



კლარენს ზეედორფი „მილანში" ისე თამაშობს, დიკ ადვოკაატი როგორ ვერ შენიშნავდა



ინგლისის პრემიერ-მინისტრთან მიწვეულმა სვენ გორან ერიქსონმა გუნდთან ერთად საყვარელი ქალი, ნენსი დელ ოლიოც იახლა

REUTERS

# ჩვენ ვართ ბექემი

## ვინ არის ჯაგერი და ელვის პრესლი?!

## გაიცანით ჯონ ბლეიკი

**არის** ასეთი ბრიტანელი გამომცემელი ჯონ ბლეიკი. ის გამოსცემს ნაირნაირი ჟანრისა და ავტორთა წიგნებს. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ეს პატივცემული კაცი ზედმიწევნით ჩახედულია თანამედროვე საგამომცემლო ინდუსტრიაში — ინდუსტრიაში კი მოგეხსენებათ, მთავარია აწარმოო და შემდეგ ამ ნაწარმის მყიდველი მოძებნო.

ახლა წიგნის ინდუსტრია მარტივ ეკონომიკურ ტერმინებამდე რომ დავიყვანოთ, გამოგვივა, რომ წიგნი არის პროდუქტი, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებს უამრავი ხალხი, ავტორიდან დაწყებული და დახლის გამყიდველით დამთავრებული. ხოლო მკითხველი არის ამ პროდუქტის მომხმარებელი.

და რახან წიგნის გამოცემა ისეთივე ჩვეულებრივი ეკონომიკური პროცესია, როგორიც მაგალითად, ლუდის ჩამოსხმა, ამიტომ გამომცემელმაც ისევე უნდა ააგოს თავისი ბიზნეს-სტრატეგია, როგორც მელუდემ ანაც მეღვინემ.

აქ მოვიშველიოთ ზემოთ ხსენებული ჯონ ბლეიკის გამოცდილება, რომელიც განმარტავს, რომ საგამომცემლო საქმიანობაში არის მოდური წიგნის ცნება. განვმარტოთ რა იგულისხმება:

— ყველაფერი ზემოთ ხსენებული დავიყვანოთ ფეხბურთამდე და გავიხსენოთ, რომ ბოლო წლებში წიგნის დახლებზე ჩნდება ნაირ-ნაირი ფეხბურთელების ავტობიოგრაფიული წიგნები და მას მყიდველი დიდი ინტერესით იტაცებს. ამ წიგნებში კი უმეტესად მოთხრობილია, თუ როგორ ეჩხუბა წიგნის ავტორი და იმავდროულად ფეხბურთის ვარსკვლავი ამა თუ იმ მწვრთნელს, ან როგორ მოტეხა მან ძალით ფეხი მოწინააღმდეგეს თამაშის დროს, თუნდაც რა ხდება შესვენებისას გასახდელში — მწვრთნელი იგინება, იფურთხება თუ თავზე ხელს უსმევს თავის შეგირდებს. მოკლედ, ასეთი ჟანრის ლიტერატურაში წერია უამრავი აზრიანი თუ უაზრო დეტალი.

ხოლო ხალხი ვისაც აინტერესებს კულისებში მომხდარი ამბები და ასეთები კი უამრავია, ტაციაობით ყიდულობს ფეხბურთელის ავტობიოგრაფიულ ნაშრომს. შეიძლება მივიდეთ ისეთ აბსურდამდე, რომ მაღაზიამ უფრო მეტი ვიღაც ბლექბერნელის ან ჩარლტონელის წიგნი გაყიდოს, ვიდრე ვთქვათ, მარკ ტვენის ან სერვანტესისა.

აი, ამას გულისხმობდა ჯონ ბლეიკი, როცა განმარტავდა ლიტერატურული მოდის რაობას. მან იხუმრა კიდეც ოთხი წლის ბრუკლინ ბექემის მოგონებების წიგნი რომ გამოვცე, მეორე დღეს შეიძლება დახლზე ერთიც აღარ დამხვდესო.

ყველაფერი შოუა და ხალხს სანახაობა იტაცებს. იყო დრო, როცა ხალხს „ბითლზებზე" ეკეტებოდა ჭკუა — ახლა ახალგაზრდობა დევიდ ბექემზე აფრენს.

„რამდენიმე ათეული წლის წინ ბრიტანეთის პრემიერმა ჰეროლდ უილსონმა „ბითლზის" წევრები თავის რეზიდენციაში მიიწვია, ახლა ტონი ბლერმა დევიდ ბექემს უხმო დაუნინგ სტრიტზე" — ამბობს ბლეიკი და მისივე აზრით უკვე მარტო ვირტუოზული თამაში არ არის ის, რის გამოც ხალხს ესა თუ ის ფეხბურთელი იტაცებს და სიგიჟემდე აინტერესებს — ამას აუცილებლად უნდა დავურთოთ ამ ფეხბურთელის ხელფასი, ჰათობით მანქანა, მდიდრული ტანსაცმელი და ვარსკვლავობის სხვა ატრიბუტები.



ტონი ბლერისთვის დევიდ ბექემის მასპინძლობა კარგი რეკლამაა

REUTERS

„როცა პატარა ვიყავი, ჯონ ლენონს ვბაძავდი, დღეს ჩემი შვილი დარბის და დევიდ ბექემი ვარო, ყვირის. ახლა ყველას უნდა იყოს რონალდო, რიო ფერდინანდი ან რაული — ისევე როგორც ჩვენს დროს მიკ ჯაგერობა ან ელვის პრესლობა" — დასძენს ბლეიკი და მასხრობს, უწინ თითქმის არავის უნდოდ ბობი ჩარლტონი ყოფილიყო, თუგინდ იმიტომ, მაშინ 25 წლის მოთამაშეები 50-ს მიტანებული კაცებივით გამოიყურებოდნენო.

დაბოლოს ბლეიკის მტკიცებით, მთელი ეს ინდუსტრია ზედმიწევნით წარმატებით მუშაობს ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში და ბოლო ხანს ასევე ფართოდ მოედო აზიასა და აფრიკას. ერთადერთი ადგილი, სადაც ბექემი და სხვა ევროპელი ვარსკვლავები არ აინტერესებთ, ამერიკის შეერთებული შტატებია — იქ თავისი ბექემები ჰყავთ, თორემ პრინციპი იგივეა.

**ნიკა შუბლაძე**

# ერიქსონს მანჩესტერი არ აწუხებს

**ბიშამ ებიში** შეკრებილი ინგლისის ნაკრების მენეჯერს სვენ გორან ერიკსონს „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვა მოუხდა. მედიამ კვლავ ატეხა ხმაური იმის გამო, რომ „მანჩესტერის" უფროსობა ნაკრების ინტერესებს დიდად არასდროს ითვალისწინებს ხოლმე და ცდილობს, თავისი ფეხბურთელები სწორედ სანაკრებო შეხვედრების ხარჯზე დაასვენოს.

უახლოეს კვირაში ინგლისის ნაკრებს ორი შესარჩევი თამაში აქვს სლოვაკებსა და მაკედონიელებთან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მანჩესტერი" 19 ოქტომბრამდე ისვენებს. ეს დასვენება კი იმითაც გამოიხატება, რომ კლუბმა სწორედ სანაკრებო თამაშების წინ გაგზავნა მუხლის შესამოწმებლად მცველი რიო ფერდინანდი. სავარაუდოა, რომ ფერდინანდი ოპერაციას გაიკეთებს, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ოპერაცია საჩქარო არ არის და კლუბმა იგი საგანგებოდ, დროის მოგების მიზნით დაამთხვია შესვენებას.

„არა მგონია — თქვა ერიკსონმა — ძალით ოპერაციას არავის გაუკეთებენ. თუ მისი აცილება შეიძლება, მას აიცილებენ. მე ვიცი, რომ რიოს მუხლი აწუხებს. კარგი იქნებოდა აქ ყოფილიყო, მაგრამ რას იზამ?"

„მანჩესტერმა" შაბათ საღამოს შეატყობინა ერიკსონს, რომ ფერდინანდი შეკრებაზე ვერ ჩავა. მანამდე მობილური გამორთული მქონდა, რადგან „ვესტ ჰემი" — „ბირმინგემის" თამაშს ვუყურებდიო.

საერთოდ კი, ნაკრებისა და „მანჩესტერის" ურთიერთობა სიტკბოებით არ გამოირჩევა.

წინა თვეში, „მანჩესტერმა" ასევე შეატყობინა ერიკსონს, რომ პოლ სქოულზი ჯანმრთელად ვერ არის და პორტუგალიელებთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებსო. სამაგიეროდ სქოულზმა სალიგო მატჩი ითამაშა და მერელა დაიწყო მკურნალობა.

ორშაბათს „ევერტონის" კარში ორი გოლის გამტან სქოულზს ნაკრებში მუხლი წამოსტკივდა და სურათიც გადაულეს. დევიდ ბექემს კი კოჭზე ყინული ადევს, რახან იმავ „ევერტონთან" თამაშში დაშავებულა.

„ეს სანერვიულო არ არის. პრობლემები ყოველთვის არის ხოლმე, მაგრამ მერე ეს ფეხბურთელები მოედანზე გადიან", თქვა ერიქსონმა.

სქოულზი კი ალბათ თავის 50-ე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს სლოვაკთა წინააღმდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# სიფრთხილეს თავი არ ტკივა

## თუ ვერ მოიგო, თავის ტკივილი მერე ნახეთ

**ესპანეთის ნაკრები** რომ თავისი ჯგუფის უპირობო ფავორიტია, საიდუმლოს არ წარმოადგენს. თუმცა ალბასეტეში ჩრდილოეთ ირლანდიასთან მომავალ დაპირისპირებაზე ესპანელთა მწვრთნელმა ინაკი საესმა მაინც ფრთხილად ილაპარაკა.

„რაც არ უნდა ვთქვათ, ჩრდილოეთ ირლანდია ორგანიზებული გუნდია. მისი დაცვის გარღვევა ჩვენი გაახალგაზრდავებული ნაკრებისთვის იოლი სულაც არ იქნება. მთავარია, სწრაფად გავიტანოთ, რომ შემდეგ არ გაგვიჭირდეს".

საესისგან განსხვავებით (ალბათ, არ ამბობს, თორემ გულში დარწმუნებული იქნება), ესპანეთში ნაკრების გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება. ასეთ რწმენას თავის დროზე ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაკრების მიერ იმავ ჩრდილო ირლანდიელთა 5:0 დაფრენაც უმაგრებს ზურგს.

„მარტში უკრაინასთან გველის თამაში და ძალიან კარგი იქნება, თუ იმ დროისთვის ქულათა მაქსიმუმი დაგვიგროვდება" — დასძინა ესპანელთა მწვრთნელმა.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთმა ერთი მძიმე თამაში, საბერძნეთში, უკვე მოიგო.

**ირაკლი ბერტაია**

# თურქეთი ჩაიძირა

## რაში? ოქროში!

**თურქებს** შაბათს სკოპიეში მაკედონიასთან, იქითა ოთხშაბათს კი სტამბოლში ლიხტენშტაინთან მატჩები ელით, თავად კი ამ ორ შესარჩევ თამაშზე მეტად ექვსი თვის შემდეგ ინგლისთან დაპირისპირებაზე ფიქრობენ.

„ეს ორი მატჩი უნდა მოვიგოთ და ინგლისის ჯერიც დადგება — ენამზეობს თავისი ვებ-გვერდიდან ასტონვილელი ალფაი ოზალანი — მოუთმენლად ველოდები ინგლისთან ჯახს. ამ ქვეყანას პატივს ვცემ, აქ ვთამაშობ, მაგრამ ვიცი, რომ მოვიგებთ."

სხვათა შორის, თურქებს ინგლისთან ურთიერთშეხვედრებში საკმაოდ ცუდი მაჩვენებლები აქვთ. ჩვენს მეზობლებს ალბიონელთა კარში ჯერ გოლიც კი არ გაუტანიათ, დიდი ანგარიშით კი იცოცხლეთ, შერცხვენილან. თუმცა თურქთა აზრით, მსოფლიოს მესამე გუნდი ინგლისის დამარცხებას შეძლებს. „მართალია, ჯერ ინგლისისთვის გოლი არასდროს გაგვიტანია, მაგრამ მომავალ მატჩს ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ვხვდებით. ინგლისს ხომ სულ სხვა თურქეთი დაუპირისპირდება" — ეს სერჰატის აზრია.

და რაკი თურქებს ინგლისთან რამდენიმე თვის შემდგომი თამაში უფრო აინტერესებთ, ვიდრე მაკედონია და ლიხტენშტაინთან შეხვედრები, ამ ორ მატჩში ექვსი ქულა მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორებს ალბათ უკვე ჯიბეში ეგულებათ. კაცმა რომ თქვას, ეგრეც უნდა იყოს.

თავდაჯერებულ თურქთა მწვრთნელი შენოლ გიუნეში მაკედონიასა და ლიხტენშტაინს საბრძოლო შემადგენლობას დაუპირისპირებს. ესაა, უგუნდოდ მყოფ ჰაკანის ნაცვლად საქართველოს კარში მესამე გოლის გამტანი ახალგაზრდა სერჰატი ითამაშებს.

და კიდევ, გიუნეში და თურქთა მთელი ნაკრები — ყველა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, მთავრობამ დაპირებისამებრ ოქროს მონეტებით დააჯილდოვა. ყველაზე მეტი, 600 ოქრო გიუნეშს მიართვეს (თითო ოქრო 2000 დოლარს უდრის). მისმა თანაშემწეებმა 150-150 მონეტა მიიღეს, ფეხბურთელები კი 300-300 ცალის მფლობელნი გახდნენ.

**სერგი ძორიძე**




სტუმრად მთავრობაში: შენოლ გიუნეშს (უკან მარცხნივ) სალარო გაატანეს

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის რუკასთან



ავსტრიულ ქალაქ გრაცში ჯერ არნახული მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება უსახლკაროთა შორის. გრაცში მსოფლიოს 16 გუნდი ჩავა, რომლებმაც შესარჩევი ეტაპი გაიარეს. ჩემპიონატი მომავალი წლის ივლისში ჩატარდება. თავად მასპინძლები, როგორც ორგანიზატორები, პირდაპირ დაიშვებიან ტურნირზე. ეს აქცია მსხვილმასშტაბიანი პროექტის ნაწილია, რომელიც საზოგადოებაში უსახლკაროთა ინტეგრაციას ითვალისწინებს.

**ესპანური „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა „ოსასუნასთან“ ფრე ფეხბურთელებს აჰკიდა კისერზე — მათ მოქმედებაში ვერ ვნახე აგრესია და ბრძოლის წყურვილი — ბრძანა ვან გაალმა. ნამატჩევს გასახდელში იგი 40 წუთის განმავლობაში ესაუბრებოდა ფეხბურთელებს, თუმც კონკრეტულად არავინ და უდანაშაულებია. „ბარსას“ მწვრთნელმა განაცხადა, რომ კატასტროფული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, დაგეგმილი 11 ქულიდან სამი დაიკარგა და ამას დარდობს. მისი გეგმით, „ბარსელონას“ საშინაო შეხვედრები უნდა მოეგო, სტუმრად კი ფრეებიც შეიძლებოდა.**

საფრანგეთის ნაკრებს აზიური ჩავარდნის გამო ფეხბურთის ფედერაციამ როჟე ლემერთან დროზე ადრე გაწყვიტა კონტრაქტი. ამის გამო „სამფეროვანთა“ მწვრთნელყოფილს ფედერაციიდან კომპენსაცია ერგებოდა და მიიღო კიდეც. საკომპენსაციო თანხა 532 ათასი ევროა. შეგახსენებთ, რომ როჟე ლემერი ახლახან დაინიშნა ტუნისის ნაკრების თავკაცად და იქ თვეში 25 ათას ევროს ჩაიჯიბავს.

**ხორვატიის ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი მოთამაშის, ზვონიმირ ბობანის გამოსათხოვარ მატჩეში ბურთი მარკო ვან ბასტენმაც გაიგორა. ჟურნალისტები მას სამომავლო გეგმებზე გაესაუბრნენ და ჰოლანდიელს მწვრთნელობის პერსპექტივაზე ჰკითხეს, რაზეც ვან ბასტენმა მიუგო: „ვერაფერს გეტყვით. ჯერ არ გადამიწყვეტია, მოვკიდო თუ არა მწვრთნელობას ხელი.**

იტალიაში გასული სეზონის საუკეთესოთა დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა, მაგრამ ცუდად დასრულდა. საუკეთესო ფეხბურთელად და ასევე ლეგიონერად ტურინის „იუვენტუსის“ ფრანგი მეგოლე დავიდ ტრეზეგე დაასახელეს. იქ მყოფ „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს და გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის ტაშის ცემით ხელები არ გადაუტყავებიათ, რამაც საღამოს წამყვანის, კომიკოს მსახიობ მაურიცო კროცას გაოცება გამოიწვია. კროცამ ხუმრობა სცადა და იკითხა: „მაშ ასე, დარბაზში ჟიურის წევრების გარდა „იუვეს“ გულშემატკივარი არავინაა?“ ასეთმა რეპლიკამ ტურინული დელეგაცია გაანაწყენა და მათ დარბაზი დატოვეს.

**პორტუგალია ევრო 2004-ის მასპინძლობით 400 ათას ევროს იშოვის — განაცხადა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანჟელ ბროუმ. მისი აზრით, ევრო 2004-ის მსვლელობისას ქვეყანას 1,3 მილიონი გულშემატკივარ-ტურისტი ეწვევა. ამ განცხადების შემდეგ პორტუგალიურმა მთავრობამ ტურნირისთვის გამოყოფილი თანხის 32,8 პროცენტით გაზრდა განიზრახა, რომელიც 10 ახალი სტადიონის მშენებლობას მოხმარდება.**

ესპანური „ბარსელონა“ იტალიური „იუვენტუსის“ ჩილელი ფორვარდით, მარსელო სალასით დაინტერესდა. კატალონიური კლუბი მზადაა, ჩილელი ფეხბურთელის სანაცვლოდ ტურინელებს კარლეს პუიოლი დაუთმოს, რომელსაც „ბებერი ქალბატონი“ დიდი ხანია, აკვირდება. თუ ეს გარიგება შედგა, ბარტერული გაცვლა სავარაუდოდ იანვარში მოხდება.

**იტალიური „რომას“ ბოსები გუნდის ესპანელ ნახევარმცველ ხოსეპ გვარდიოლას უკან, „ბრეშაში“ უშვებენ. „ფეხბურთელმა იმედები გაგვიცრუა — განაცხადა „რომას“ წარმომადგენელმა — გასამრჯელოს დაუმსახურებლად იღებს და მწვრთნელს უმიზეზოდ აკრიტიკებს“. რომაელები ნახევარდაცვის გაძლიერებას გაჩელი ჰავბეკ სტეფან ჰიათი აპირებენ, რომელიც „პარმას“ საკუთრებაა და არენდით „ბრეშაში“ თამაშობს.**

ინგლისური „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი შესაძლოა, კლუბში სამუდამოდ დარჩეს. ლონდონური გუნდის დირექტორთა საბჭო ფრანგ სპეციალისტს მომავალში კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობას სთავაზობს. „ვენგერმა გუნდისთვის ყველაფერი გააკეთა, საშუალო ფეხბურთელებიდან უმაღლესი დააყენა“ — განაცხადა BBC-ს ჟურნალისტმა. ვენგერის თავკაცობით „არსენალი“ შარშან ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა და უკვე 30 მატჩია, არ დამარცხებულა.

**ესპანური „ბარსელონას“ ყოფილი მეკარე კარლოს ბუსკეტსი კატალონიელთა ამჟამინდელ თავკაც ლუის ვან გაალს კიცხავს. „ვან გაალს სპეციალისტად არ ვთვლი და გამიხარდება, თუ გუნდს მალე დატოვებს, რადგან მის ხელში „ბარსა“ წარმატებას ვერ მიაღწევს“ — განაცხადა ბუსკეტსმა.**

ინგლისური „ჩელსი“ იტალიური „ინტერის“ 24 წლის ნახევარმცველ ხავიერ ფრანსისკო ფარინოსით დაინტერესდა. „არისტოკრატთა“ ერთ-ერთი დამრიგებელი ამ უქმეებზე ფარინოსის თამაშის სანახავად მილანს ეწვია, თუმც კუპერმა ფეხბურთელი მოედანზე არ გაიყვანა. ფარინოსის გადაბირებას „ჩელსი“ გასულ სეზონშიც ცდილობდა. მაშინ ლონდონელები „ინტერის“ ხელმძღვანელობას ფარინოსს სემ დალა ბონაში უცვლიდნენ.

**ავსტრიული „გრაცერის“ მთავარ მწვრთნელად ვენის „აუსტრიას“ ყოფილი თავკაცი ვალტერ შახნერი დანიშნეს, მის ნაცვლად კი „აუსტრიამ“ გერმანელი სპეციალისტი კრისტოფ დაუმი მოიყვანა. შახნერმა „გრაცერთან“ 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და წლევანდელ სეზონში გუნდში მისული მეექვსე მწვრთნელია. ამჟამად „გრაცერი“ ეროვნულ პირველობაში 13 თამაშიდან 11 ქულით ცხრილის ფსკერზეა გაჭრული.**

# სად გაახსენდათ...

## მილანმა ახლების მერე ძველების ყიდვაც დაიწყო



ლეონარდო

„**მილანის**“ ვიცე-პეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ არც აცია, არც აცხელა და გუშინ სენსაციური განცხადება გააკეთა: 33 წლის ბრაზილიელი ლეონარდო კვლავ „მილანის“ ფეხბურთელიაო.

რაო, რაო? ლეონარდო? დიახ, ასეა, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლეონარდო, რომელსაც „სან სირო“ ოთხი წლის მანძილზე ტაშს უკრავდა, შარშან კი სამშობლოში დაბრუნდა, სულ მცირე ამ სეზონის ბოლომდე კვლავაც „მილანის“ მაისურას მოირგებს.

ეს ამბავი კი ორშაბათს გადაწყდა — ლეონარდომ ზვონიმირ ბობანის გამოსათხოვარ მატჩში რომ ითამაშა, მაშინ. ბობანის ბენეფისის დასრულებისთანავე, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ბრაზილიელთან მისულა და უთხოვია, წელს სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვაპირებთ და იქნებ დაგვეხმარებოდიო. ნასიმენტუ დე არაუჟოსაც, იგივე ლეონარდოს უპასუხია, ჩემი სურვილიც ეგაა, მილანი ძალიან მომენატრაო.

ერთი სიტყვით, საქმე გაიჩარხა. „მილანიდან“ წასვლის მერე, იაპონური და ბრაზილიური კლუბებმოვლილი 33 წლის ვეტერანი კვლავაც „სან სიროზე“ იბურთავებს, მაგრამ... იბურთავებს კი? ამის თაობაზე, „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ამბობს: „გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ვინც კონკრეტული მატჩისთვის მზად იქნება, მხოლოდ ის ითამაშებს.“

ლეონარდოს ხელახალი მილანური წარდგენა, წუხელ, გვიან ღამით, „მილანის“ ოფისში, ვია ტურატიში შედგა.

**გიორგი გუგაძიძე**


იყიდება



☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული ოთხსართულიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "ბულიაროსთან"

ქუთაისში



24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 001 | კილი-კიოლნი(მ) | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ჰამბურგი(მ) | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.00 | 003 | ავე-ესენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 17.00 | 005 | ვერდერი(მ)-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.00 | 006 | ლევერკუზენი(მ)-ვატენშაიდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 007 | ოსნაბრიუკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 008 | პადერბორნი-დინამო | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 009 | დორტმუნდი(მ)-ფერლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 010 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 21.00 | 011 | ფელენდორფი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 012 | ერფურტი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 013 | შვაინფურტი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 17.30 | 014 | ნოიკირხენი-ბაიერნი(მ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 015 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 17.30 | 016 | დარმშტადტი-აინტრახტი(მ) | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.30 | 017 | აალენი-ვეენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 018 | ზიგენი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-დერბი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 021 | ბარნლი-უოლსოლი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-უოტფორდი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 023 | მილუოლი-უიმბლდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 024 | როტერჰემი-ჯილინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 026 | უოტფორდი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

**ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 029 | პიტერბორო-მენსფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 030 | ბარნსლი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 031 | კარდიფი-უიკომბი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 032 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 033 | ჰადერსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 034 | ლუტონი-ჩელტენჰემი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 035 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-უიგანი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 037 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-ქრიუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 040 | ქუინს პარკი-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბოსტონი-ტორკი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 042 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 043 | ბერი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 044 | კარლაილი-შრუსბერი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 045 | ექსეტერი-რაშდენი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 046 | ჰალი-[illegible] | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 048 | ოქსფორდი-სუონსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 049 | სკანთორპი-კემბრიჯი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 050 | საუთენდი-იორკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 051 | რექსემი-ლეიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბორნმუთი-ჰარტლპული | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

**იტალია. სერია "B". VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 053 | ანკონა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 18.00 | 054 | ბარი-ლეჩე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 055 | კალიარი-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 056 | ლივორნო-ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 057 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 18.00 | 058 | სალერნიტანა-პალერმო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 18.00 | 059 | სამპდორია-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 060 | ტრიესტინა-კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 061 | ვერონა-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 062 | ვენეცია-ჯენოა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 102 | ფეროლი-ალმერია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 21.30 | 103 | ეხიდო-ხერესი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.30 | 104 | ლეგანესი-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 105 | ალბასეტე-სპორტინგი | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 106 | კომპოსტელა-სარაგოსა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 107 | ოვიედო-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 108 | სალამანკა-ელჩე | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 22.00 | 109 | ტენერიფე-ებარი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 20.00 | 110 | მურსია-ტერასა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 111 | კორდობა-ნუმანსია | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.30 | 112 | ლევანტე-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

**პორტუგალია. II ლიგა. გადადებული მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 201 | ალვერკა-ოვარენსე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 202 | პორტიმონენსე-ლამაში | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**ბელგია. II დივიზიონი. IX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 116 | დესელი-ვირტონი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 117 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 23.00 | 118 | ეუპენი-ლიეჟი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 119 | რონსე-დაინცე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 120 | დენდერლეუვე-გეელი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 121 | ვიზეტი-სტრომბეკი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 122 | ხერკლი-ვიგორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 18.00 | 123 | ინგელმუნსტერი-რუზელარე | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 18.00 | 124 | ტიენენი-პატრო | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 125 | კლაიდი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 126 | გრეტნა-ალბიონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 127 | მარტიგი-რეიმსი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 128 | ამიენი-გენიონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 129 | ბოვე-კანი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 130 | გრენობლი-კანი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.00 | 131 | ისტრი-ლორიანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 132 | ლე მანი-ვალანსი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 133 | მეცი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 134 | ნანსი-შატორუ | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 135 | ნიმი-ანჟე | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 136 | სტ-ეტიენი-ტულუზი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 23.00 | 137 | ვალკიალი-ლავალი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 138 | კრეტეი-კლერმონი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |

**პოლონეთი. თასი. 1/8 ფინალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 139 | პლოცკი-ოსტროვეცი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 140 | მოლდოვა-ჩეხეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 19.00 | 141 | შვედეთი-უნგრეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 142 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 19.00 | 143 | ისლანდია-შოტლანდია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 20.00 | 144 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 145 | ბელარუსი-ავსტრია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 146 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 21.00 | 147 | ლიტვა-ფარერის კუნძულები | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 148 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 22.00 | 149 | მალტა-ისრაელი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 22.00 | 150 | რუმინეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 151 | პოლონეთი-ლატვია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.00 | 152 | მაკედონია-თურქეთი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 22.15 | 153 | დანია-ლუქსემბურგი | 1,02 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.30 | 154 | სლოვაკეთი-ინგლისი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 23.00 | 155 | ანდორა-ბელგია | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 156 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.45 | 157 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 158 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 00.45 | 159 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური. (21 წლამდე)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 160 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 17.00 | 161 | ბელარუსი-ავსტრია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 162 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 18.00 | 163 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.00 | 164 | პოლონეთი-ლატვია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 18.00 | 165 | მაკედონია-თურქეთი | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 19.30 | 166 | ისლანდია-შოტლანდია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 167 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.30 | 168 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 21.00 | 169 | სლოვაკეთი-ინგლისი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 21.00 | 170 | მალტა-ისრაელი | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,93 | 1,22 | 1,1 |
| 21.30 | 171 | დანია-ლუქსემბურგი | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 22.00 | 172 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 173 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.00 | 174 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 175 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 24.00 | 176 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 177 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 198 | ბოსნია ჰერცოგოვინა-გერმანია | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.00 | 199 | პორტუგალია-ტუნისი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

**ჰოკეი. რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 12.30 | 610 | ამური-მოლოტი | 1,3 | 5,6 | 4,7 | 1,05 | 1,01 | 2,55 |
| 17.30 | 611 | მაგნიტოგორსკი-ს.იულაევი | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 17.30 | 612 | მეჩელი-ლადა | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 19.30 | 613 | ცსკა-დინამო | 3,8 | 4,7 | 1,45 | 2,1 | 1,04 | 1,1 |
| 19.30 | 614 | ლოკომოტივი-აკ | 1,12 | 7,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,5 |
| 19.30 | 615 | კრილია-სევერსტალი | 3,1 | 4,7 | 1,6 | 1,86 | 1,05 | 1,19 |
| 19.30 | 616 | აკ ბარსი-სპარტაკი | 1,2 | 6,5 | 6,0 | 1,01 | 1 | 3,12 |
| 19.30 | 617 | ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2,9 | 4,2 | 1,7 | 1,71 | 1,07 | 1,21 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 634 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 20.00 | 635 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |
| 20.00 | 636 | ჰავირჟოვი-ზნოიმო | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 20.30 | 637 | პლზენი-ლიტვინოვი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 20.30 | 638 | კარლოვი ვარი-სლავია | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 20.30 | 639 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 21.00 | 640 | სპარტა-პარდუბიცე | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |

### ჰოკეი. შვეიცარია

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 654 | ამბრი-ლუგანო | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 22.30 | 655 | ბერნი-ლოზანა | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 656 | დავოსი-რაპერსვილი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 657 | სერვეტი-ცუგი | 1,55 | 4,7 | 3,3 | 1,16 | 1,05 | 1,93 |
| 22.30 | 658 | ლანგნაუ-ფრიბურგი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,4 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 659 | ციურიხი-კლოტენი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |

### ჰოკეი. გერმანია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 667 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 668 | კიოლნი-შვენინგი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 669 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 670 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 671 | კასელი-იზერლონი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 22.30 | 672 | აუგსბურგი-აისბარენი | 2,25 | 4,2 | 2,15 | 1,46 | 1,09 | 1,42 |
| 23.00 | 673 | კრეფელდი-ინგოლშტადი | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |

### ჰოკეი. შვედეთი

10 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 686 | ჰვ 71-ლეკსანდი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 22.00 | 687 | ტიმრე-ლინშოპინგი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.00 | 688 | სოდერტელიე-ბრიუნესი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 22.00 | 689 | ფერიესტადი-ფროოლუნდა | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.00 | 690 | მოდო-ლულეო | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |
| 22.00 | 691 | იურგორდენი-მალმო | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |

### ჰოკეი. ფინეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.30 | 700 | ჰელსინკი-იუვესკიულე | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 701 | ილვესი-სეიპა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 20.30 | 702 | კერპეტი-ტაპარა | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 703 | ტურკუ-ესპოო | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.30 | 704 | ესპოო-ჰელსინკი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 705 | ლუკო-ჰამეენლინა | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |

### ჰოკეი. NHL

10 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 715 | ბუფალო-აილენდერსი | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| 04.00 | 716 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 04.00 | 717 | კოლუმბუსი-ჩიკაგო | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 04.30 | 718 | პიტსბურგი-ტორონტო | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.30 | 719 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 05.00 | 720 | სტ.ლუისი-ანაჰაიმი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 06.00 | 721 | კალგარი-ვანკუვერი | 2,2 | 4,0 | 2,25 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 06.00 | 722 | ედმონტონი-ფილადელფია | 2,3 | 4,0 | 2,15 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 07.30 | 723 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,45 | 4,0 | 2,0 | 1,51 | 1,1 | 1,33 |

### კალათბურთი. ევროლიგა

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ოქტომბერი | | | |
| 21.00 | 792 | შლიონსკი-ოლიმპიაკოსი | 2,2 | 12,0 | 1,5 |
| 21.30 | 793 | ულკერი-ცსკა | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| 23.00 | 794 | პანათინაიკოსი-ბუდუჩნოსტი | 1,02 | 12,0 | 9,0 |
| 23.30 | 795 | პარტიზანი-რეალი | 2,2 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 796 | კინდერი-ვილეურბანი | 1,3 | 12,0 | 3,0 |
| 23.30 | 797 | უნიკახა-ოლიმპია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | 10 ოქტომბერი | | | |
| 23.00 | 798 | ალბა-ეფესი | 1,75 | 12,0 | 1,85 |
| 23.30 | 799 | ბენეტონი-პო ორტეზი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 800 | ციბონა-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 801 | ბარსელონა-კიპერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 | 802 | ტაუ-მაკაბი | 1,45 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 803 | სიენა-ჟალგირისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ფორმულა 1. XVII რბოლა. იაპონია. სუზუკა

13 ოქტომბერი(07.00)

| | 5001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,55 | 5101 ---------- 1,1 | 5201 ---------- 1,05 | 1,55 |
| ბარიკელო | 2,8 | 5102 ---------- 1,25 | 5202 ---------- 1,12 | 2,8 |
| მონტოია | 7,0 | 5103 ---------- 1,7 | 5203 ---------- 1,35 | 7,0 |
| რ.შუმახერი | 10,0 | 5104 ---------- 2,2 | 5204 ---------- 1,35 | 10,0 |
| კულტჰარდი | 15,0 | 5105 ---------- 3,2 | 5205 ---------- 1,35 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 5106 ---------- 3,2 | 5206 ---------- 1,4 | 20,0 |
| ირვაინი | 100,0 | 5107 ---------- 20,0 | 5207 ---------- 2,6 | 100,0 |
| ტრული | 100,0 | 5108 ---------- 20,0 | 5208 ---------- 2,8 | 100,0 |
| ბატონი | 100,0 | 5109 ---------- 20,0 | 5209 ---------- 2,8 | 100,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 5110 ---------- 30,0 | 5210 ---------- 3,5 | 150,0 |
| ფრენცენი | 150,0 | 5111 ---------- 30,0 | 5211 ---------- 3,5 | 150,0 |
| ჰაიდფელდი | 150,0 | 5112 ---------- 30,0 | 5212 ---------- 3,5 | 150,0 |

## 1-ლი ტაიმის შედეგი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 2001 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,0 | 2,7 | 1,65 |
| 19.00 | 2002 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 2003 | საქართველო-რუსეთი | 3,8 | 2,1 | 2,5 |
| 19.00 | 2004 | ისლანდია-შოტლანდია | 2,7 | 2,1 | 3,5 |
| 20.00 | 2005 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,8 | 2,1 | 3,4 |
| 20.30 | 2006 | ბელარუსია-ავსტრია | 2,9 | 2,1 | 3,3 |
| 21.00 | 2007 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,4 | 2,1 | 4,2 |
| 22.00 | 2008 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,2 | 2,1 | 5,3 |
| 22.00 | 2009 | პოლონეთი-ლატვია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 22.00 | 2010 | მაკედონია-თურქეთი | 5,6 | 2,35 | 1,9 |
| 22.30 | 2011 | სლოვაკეთი-ინგლისი | 6,0 | 2,3 | 1,9 |
| 23.00 | 2012 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,7 | 2,15 | 2,25 |
| 23.45 | 2013 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 23.45 | 2014 | იტალია-იუგოსლავია | 1,7 | 2,4 | 7,0 |
| 00.45 | 2015 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 10,0 |

| 1-ლი ტაიმი/მთლიანი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 18.30 | 2101 | მოლდოვა-ჩეხეთი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,2 | 30,0 | 15,0 | 1,8 |
| 19.00 | 2102 | შვედეთი-უნგრეთი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 19.00 | 2103 | საქართველო-რუსეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 19.00 | 2104 | ისლანდია-შოტლანდია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.00 | 2105 | ბულგარეთი-ხორვატია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.30 | 2106 | ბელარუსია-ავსტრია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2107 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.00 | 2108 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2109 | პოლონეთი-ლატვია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2110 | მაკედონია-თურქეთი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 22.30 | 2111 | სლოვაკეთი-ინგლისი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 23.00 | 2112 | ალბანეთი-შვეიცარია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 2113 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2114 | იტალია-იუგოსლავია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.45 | 2115 | ესპანეთი-ჩ.ირლანდია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

**გამოვიდა სარბიელის დამატება**

**კროკო**
**პროფესიონალთათვის**

ორშაბათობით ყველა შედეგი,
ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[ბ] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |



შესაძლოა, ევროლიგა დღეს მეოთხე ქართველმა დააჭაშნიკოს — ფაჩულიას, ცქიტიშვილისა და ბოისას კვალში, სავარაუდოდ, მანუჩარ მარკოიშვილიც ჩადგამს ფეხს. ყოველ შემთხვევაში, „პო ორტეზთან" მატჩის განაცხადში მანუჩარი უეჭველად იქნება და თუ ითამაშა, „ბენეტონში" დებიუტსაც მოიწყობს. ასე რომ, დღევანდელი დღე ახალგაზრდა ქართველი უკანახაზელისთვის ერთობ მნიშვნელოვანია...

# მარკოიშვილი დღეს ბედნიერებას ელის

— დიდი იმედი მაქვს, რომ ეტორე მესინა მოედანზე გამიყვანს, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც — გვითხრა გუშინ მანუჩარ მარკოიშვილმა, ტრევიზოში რომ შევეხმიანეთ — იტალიის ჩემპიონატში ვერ მათამაშებს და, ვფიქრობ, მწვრთნელი ევროლიგის მატჩს საქმეში ჩემს უკეთ სანახავად გამოიყენებს.

**— შევიტყვეთ, „ბენეტონის" სარეზერვო გუნდში გითამაშია. სერია A-ს განაცხადში რომ ვერ ხვდები, პრაქტიკის მისაღებად მეორე გუნდში ხომ არ გაგიშვეს?**

— არა, მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშე, მესინამ და ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა ასე გადაწყვიტეს.

**— მერე რა ქენი?**

— ხანგრძლივად მხოლოდ პირველ შეხვედრაში ვითამაშე, მეორეში მცირე ხნით გავედი მოედანზე. მოთამაშენი ჩემზე უმცროსები იყვნენ და ბენეტონელებს ჩემი დახმარება აღარ დასჭირვებიათ.

**— უახლოეს მომავალში საჩემპიონატო ათკაცაში მოხვედრა რამდენად რეალურად გესახება?**

— ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა. მარიო სტოიჩი მალე ევროკავშირელის სტატუსს მიიღებს, თუმცა არაევროკავშირელთათვის გამოყოფილ მეოთხე ადგილს სერია A-ს განაცხადში ხორვატი ლორბარი დაიკავებს.

**— ნუთუ მწვრთნელი არ ეცდება მაღალი დონის მატჩებში შენს გამოცდას?**

— ევროლიგაზე მაღალი დონის მატჩები რომელია. იქ ლეგიონერთათვის ლიმიტი არ არის და ალბათ ვითამაშებ კიდეც. ისე, მესინამ არაერთხელ მითხრა, ერთბაშად არაფერი მოდის, დრო გავა და შენი ჯერიც დადგება, თუ ახლავე მოუმატებ და ლორბარს აჯობებ, იტალიის ჩემპიონატშიც გათამაშებო.

**— როგორ აპირებ, გაუძლებ კონკურენციას?**

— ახლო მომავალში ამის იმედი არ მაქვს, ყველა ჩემზე ბევრად გამოცდილია. ძირითადად ხორვატებს უნდა ვაჯობო, ათეულში რომ მოვხვდე. ხორვატიაში კი როგორი საკალათბურთო ჩემპიონატი და სკოლაა, ყველამ იცის. მაინც იმედიანად ვარ, მომავალ წელს მაინც ვითამაშებ იტალიის ჩემპიონატში, მანამდე კი ევროლიგაში ვეცდები გამოცდილების შეძენას.

**— ისე, თავისებური დამთხვევაა, ევროლიგის პირველ მატჩში მეტოქედ ფრანგული „პო ორტეზი" გყავთ, რომლის ახალგაზრდულ გუნდში შენი მეგობარი გიორგი მდივანი თამაშობს.**

— სამწუხაროდ, გიორგის ვერ ვნახავ, ის ფარმკლუბშია და არც ევროლიგაში თამაშობს. თუმცა არაფერია, სტუმრად ხომ უნდა ვეთამაშოთ „პო ორტეზს", მდივანსაც იქ შევხვდები.

**— საევროლიგო ფორმა მოგცეს?**

— არა, თამაშის წინ დაგვირიგებენ.

**— 13 ნომერი ხარ, თავად აირჩიე?**

— ასე გამოვიდა. 13, 14 და 16 ნომრები იყო თავისუფალი და მეც ბევრისთვის არასასურველი ნომერი ვირჩიე. ამისთანების არ მჯერა, კახა კალაძემ რომ 13-ნომრიანი მაისურა აირჩია „მილანში", რამე მოაკლდა თუ...

**— თუ „პო ორტეზთან" ითამაშებ, ეს მატჩი შენთვის ევროლიგაშიც და „ბენეტონშიც" პირველი ოფიციალური შეხვედრა იქნება...**

— ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად მაქვს გაცნობიერებული. თუ მათამაშეს, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. „ბენეტონი" გრანდია, ევროლიგა კი ევროპის უძლიერესი ტურნირი. ვფიქრობ, მესინა ცოტა ხნით მაინც შემიყვანს მოედანზე და თუ ასე მოხდა, ყველანაირად ვეცდები, თავი არ შევირცხვინო. ევროლიგა ხომ ჯერჯერობით ერთადერთი ოფიციალური ტურნირია, განაცხადში რომ ვხვდები.

**ირაკლი ბერტაია**

# გინდათ ლარი ბერდის უფროსობა?

## გადაიხადეთ მილიარდი ლარი

**ნბა-ს სეზონი** დასრულდა თუ არა, „ჰორნეტსი" შარლოტიდან ნიუ ორლეანში გადაბარგდა. დიდი კალათბურთის გარეშე დარჩენილ ქალაქში ახალი გუნდის დაარსებაზე მაშინვე ალაპარაკდნენ, თუმცა სიტყვა საქმისკენ ახლახან დაიძრა. ნიუ იორკში ნბა-ს უფროსობა შეიკრიბა და „გაფართოების კომიტეტი" შეიქმნა, რომელსაც შარლოტში პროფესიული კლუბის დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და საქმის ბოლომდე მიყვანა დაავალა.

ნბა-ს ხუთი გუნდის წარმომადგენლებისგან შემდგარმა კომიტეტმა შარლოტში ახალი კლუბის შექმნის უფლება 300 მილიონად შეაფასა. ეს თანხა, ფაქტობრივად, პროფესიულ ლიგაში ადგილის საფასურია, თუმცა მსურველს ამის გარდა კიდევ ბევრის დახარჯვა მოუწევს. მას ახალი საკალათბურთო დარბაზის აშენებაც მართებს, რადგან „შარლოტ კოლიზეუმს" სერვისი მოძველებია.

მსურველები კარგა ხანია, გამოჩნდნენ. სულ სამი ჯგუფი ეშურება შარლოტში გუნდის შექმნას, რეალური კანდიდატი კი ორია. ერთ-ერთ მათგანში ნავარსკვლავარი ლარი ბერდიცაა. სწორედ ბერდის ეიმედება ჯგუფის მულტიმილიონერ ხელმძღვანელ სტივ ბელკინს, ექსსელტიკელი ლეგენდის წყალობით ის შარლოტში კალათბურთის მაცქერალთა შემოსავლიანი ბაზრის აღდგენა-ათვისებას ცდილობს. ბერდი, რომელიც სავარაუდოდ იდეაში არსებული კლუბის გენერალური მენეჯერი იქნება, ამ დღეებში შარლოტს ჩავიდა, სადაც ქალაქის თავსა და ბიზნესმენებს თავისი პროგრამა წარუდგინა.

ბერდ-ბელკინის გაერთიანებას შარლოტში გუნდის დაარსებაში ეცილება ამერიკაში ცნობილი ტელემაგნატი რობერტ ჯონსონი, რომელიც „მაიამი ჰითის" მცირეოდ აქციათა მფლობელი ბობ სტარჯისთანაა ალიანსში. ამ ჯგუფს ბელკინი სამართლიანი მოქმედებისკენ მოუწოდებს: „რადგან ასეთი სერიოზული საქმე განუზრახავთ, უბრალო ხალხი არ იქნება, თუმცა ვურჩევ, პატიოსანი თამაშის წესებს არ გადაუხვიონ".

გამარჯვებულ ჯგუფს იმ ასმილიონიანი კრედიტითაც შეეძლება სარგებლობა, რომელსაც ცნობილი ამერიკელი ბანკირი ჯეი პი მორგანი ნბა-ს თითოეულ კლუბს გამოუყოფს.

ასე რომ, საქმე დაიძრა და, რაც მთავარია, პროფესიულ ლიგაში 30-ე გუნდის გაწევრიანების წინააღმდეგი არც ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნია. ვარაუდობენ, რომ ახალშარლოტური გუნდი ნბა-ში 2004-05 წლების სეზონში გამოჩნდება.



ლარი ბერდი



# მარტას მარტო კარგი ახსოვს

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 765 ათასი $

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 5:7, 6:4, 6:4; **ირაკლი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:3, 6:2; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ქაავიე მალისი (9, ბელგია) 4:6, 6:1, 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:3; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 3:6, 7:6; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:3

უმთავრესი ყურადღება იმ დღეს წლევანდელ სლემფინალისტთა — როლანგაროსზე ალ კოსტასთან ძლეულ ხუან კარლოს ფერეროსა (2) და უიმბლდონზე ლეიტონ ჰიუიტთან დამარცხებულ დავიდ ნალბანდიანის (8) შეხვედრებს დაეთმო.

ორი კვირის წინ ჰონკონგურ მაგარსაფარზე სეზონის მეორე ტიტულის მიმთვლელმა კოლოფერერომ მეტი შემართებით იბურთავა და კარიერის პირველი ჭერქვეშა ტიტულისთვის ბრძოლა განაგრძო. არმენოგაუჩო კი ზედიზედ უკვე მეხუთე შეხვედრაში გაპარტახდა და ბოლო შვიდ ტურნირში უკვე მეექვსედ გავარდა პირველივე წრიდან.

ეშხიანად ითამაშა და სეზონის 45-ე გამარჯვება მიითვალა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა, ვინაც ესპანელ ალბერტო მარტინს აჯობა. ნოვაკი წლეულს ერთ ფინალშიც ვერ გასულა, მაგრამ ექვსჯერ — ოკლენდში, ავსტრალიის ღია პირველობაზე, დუბაიში, რომაულ მასტერსზე, შტუტგარტსა და ტორონტოულ მასტერსზე ნახევარფინალებამდე იომა და სეზონის ყველაზე სტაბილურად მოთამაშეთა შორისაც დამსახურებისამებრ მოიხსენიებენ.

**ლიონის საერთაშორისო ტურნირი**
ხალიჩა. საპრიზო 761 ათასი $

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5); **სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:1, 5:7, 6:1; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) 6:7 (3:7), 6:2, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:4, 5:7, 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **კრისტიან პლესი** (დანია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 6:4; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:6 (7:4), 6:1; **მარკ როსე** (შვეიცარია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:4, 6:4

რაზანია, 16 წლის ფრანგ ჯადობიჭზე, რიშარ გასკეზე აღარაფერი გვითქვამს. ეგ ის გასკეა, წლეულს თავისკბილა ბიჭებს საფრანგეთის ღია პირველობაზეც რომ მოერია და ამერიკისაზეც, ხოლო მონტეკარლოური მასტერსტურნირის პირველ წრეში ფრანკო სკილარის დამარცხებით ყველაზე მრწემი მოთამაშე გახდა, ვინსაც კი ოდესმე მასტერსტურნირზე უმარჯვია.

იმ ტურნირის მეორე წრიდან — ეგებ გახსოვდეთ — ფრანგთა „პატარა უფლისწული" სკვითმა მარატ საფინმა გააგდო. საფინსვე მოუხდა რიშარის ოტება ლიონური მაგარსაფრიდანაც, ოღონდ, თუკი აპრილში რუსმა შედარებით იოლად, 6:4, 6:1 მოიგო, იმ დღეს მას ფიცხელი ბრძოლის გადატანა მოუხდა. პატარა ფრანგი განსაკუთრებით მეორე სეტის ბოლოს გაშმაგდა, როცა 4:5-ზე ჯერ ორი მატჩბურთი მოიგერია, 5:5-ზე კი ბრეიკპოინტსაც გადაურჩა და ზორბა სკვითმუსლიმს მეორე წრეში გასაღწევად ტაიბრეიკზე ბულრაობაც აიძულა.

მაშინდელი თამაშის მერე მოწოდება გაუუმჯობესებიაო, ამბობდა მერე საფინი. „ამ ბიჭს უთუოდ დიდი მომავალი ელის. მაგის ასაკისა რომ ვიყავი, სატელიტ ტურნირებში გამოსვლასაც ვერ ვახერხებდი, მას კი უკვე რამდენიმე ჩამოყალიბებული მოთამაშე დაუჩოგნავს".

თავად გასკე კი ნამატჩევს მოკრძალებულობდა და, ბედნიერი ვარ ჩემი დღევანდელი გარჯითაო, აი, ასე დასძენდა.

სხვაფრივ — მასპინძელთა მთავარმეჩოგნე სებასტიან გროჟანმა (3) მეექვსე პირად შეხლაში პირველად აჯობა ფრანგთა ოდინდელ ჯილა სედრიკ პიოლინს, რომელსაც რეიტინგსიის ჭიუხებიდან ორწოხებში გაუთავებელი ტრავმიანობის გამო ჩაქვეითდა. ეს მისი მე-12 ლიონური გასეირნება გახლდათ — უმთავრეს იქაურ წარმატებად კი 1993 წელს პიტ სამპრასთან ფინალში დამარცხებას მოიძევს.

შარშანდელი ჩემპიონი ივან ლიუბიჩიჩი (8) უსახელო ფრანგ გრეგორი კარას გასცდა, ხოლო მის მიერ შარშან პირველ წრეში ძლეულმა გუსტავო კუერტენმა მეხუთე ნომრად განთესილი იუნეს ელ აინაუი დაითხოვა. ნამატჩევს გუგას ის ეამაყებოდა, რომ პირველსეტწაგებულმა ძალვი არ აიშალა, მოწოდება არ გაიმრუდა, საკუთარი გეიმები არ დათმო და მძაფრ ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება მოიმკა.

**PORSCHE TENNIS GRAND PRIX**
ფილდერშტადტი. ჰარდი
საპრიზო 625 ათასი $

**პირველი წრე**

**ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 6:0; **კიმ კლაისტერსი** (6, ბელგია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 6:2; **მარტინა ჰინგისი** (7, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:4, 6:2; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 1:6, 6:2, 6:2; **ივა მაიოლი** (ხორვატია) — რიტა გრანდე (იტალია) 3:6, 6:4, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 5:7, 6:3

ფუმფულა ბელგიელის, კიმ კლაისტერსის საქომაგოდ ფილდერშტადტს მისი ნანდაური, კაცთა უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტიც კი ჩავიდა. კიმს პირველსავე წრეში უძნელესი მეტოქე აქმდე მისი ორგზის მძლეველი (უკანასკნელად ორი კვირის წინ ლაიპციგურ ნახევარფინალში) და მისგან ვერასოდეს ძლეული ანასტასია მისკინა ერგო და თავის კაცის ქომაგობა სწორედ რომ ძალიანაც სჭირდებოდა.

კიმ-ლეიტონის მოჩოგნავე-მოყიჟინე ჯუფთს ჩაუქი სკვითგოგო ტოლსწორად მხოლოდ პირველ სეტში ეპაექრა, მერე კი როგორღაც მოტყდა და ნელა-ნელა დანებდა.

ზუსტად ასეთივე ანგარიშით მოუგო ჭარმაგ ესპანელ სანჩეს-ვიკარიოს მარტინა ჰინგისმა. ცუგრუმელა ალპელი იქ თავის 41-ე ტიტულს დაეძებს, ხოლო არანჩას მოცდე შეხვდა და უკვე მეთვრამეტედ (!) გაუსწორდა.

ნამატჩევს ჰინგისს შარშან, ლინდსი დევენპორტის წინააღმდეგ იქაურ ნახევარფინალში მიღებულ ტრავმაზე დავეკითხნენ, მარჯვენა კოჭი რომ დაიშავე, ავად ხომ არ იხსენებო, რაზეც მარტამ ასე გაეპასუხა: „აქ ოთხჯერ გავპირველებულვარ და ამიტომ, თუკი რამე მახსენდება, ეგ სწორედ ის გამარჯვებები. აქ თამაში ძალიან მსიამოვნებს, გარემოც შესანიშნავია და დროც — სეზონის ღამლევს ასეთ მშვენიერ ალაგას წაბურთავებას არაფერი სჯობს".

**ლევან ქილაურიძე**



მარტინა ჰინგისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

# საქართველო — რუსეთი





# სორელმა კავკასიური ჯიშის ფასი იცის

## ლევან ცაბაძე ჩაქოლვას გადაურჩა

### ქართველებმა გრაჩოვი და სერგეევი დაამუშავეს

**რუსებთან** ჯახი კარსაა მომდგარი და ჩვენი მორაგბეებიც გამალებით ემზადებიან. ბორჯღალოსნები გუშინწინ შეიკრიბნენ მცხეთაში. ნამგზავრი, გამოუძინებელი შეგირდები ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა არ ავარჯიშა და სასტუმროში გამოკეტა. გუშინ კი ნაკრებმა პირველად ივარჯიშა საგურამოში.

კარგი იქნებოდა, ნაკრებისთვის სასტუმროს სიახლოვეს მდებარე მცხეთის „არმაზის" სტადიონი დაეთმოთ, მაგრამ აქაოდა, მინდორს გააფუჭებთო, სტადიონის კარები ჩარაზეს. სამაგიეროდ, საგურამოში მოინახა მოედანი, რომელსაც იდეალური, ცხადია, არ ეთქმის, მაგრამ გაზონი ნორმალურ მდგომარეობაშია და, რაც მთავარია, ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევს. სხვა თუ არაფერი, მცხეთიდან საგურამოში სიარული ნაღდად ჯობია ვეძისიდან ვარკეთილის მეურნეობაში ასვლას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მგზავრობას მიჰქონდა დიდი დრო და ნავარჯიშევი მორაგბეებიც ხშირად ცივდებოდნენ.

რაც გვაქვს, იმასაც ვიკმარებთო — თქვეს გუშინ მორაგბეებმა და მატჩის მოსაგებად ყველაფრის გაღებას დაგვპირდნენ. იცოცხლეთ, თუ მოიგეს, აუხდებათ ოცნება და მსოფლიოს თასზე მოხვდებიან. მანამდე კი ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა აისრულა დიდი ხნის ნატვრა. ვარჯიშზე მისულს კავკასიური ნაგაზის ორი ლეკვი დაახვედრეს. თურმე სორელს და მის თანაშემწე პატრიკ ფორის ადრე კავკასიური ნაგაზის ყოლა უსურვებიათ, მაგრამ ცოლებს უთქვამთ უარი, ახლა კი მეუღლეები დაუყოლიებიათ და საფრანგეთში ამ ბომბორა ლეკვებს წაიყვანენ. ოღონდ სორელი და ფორი ერთ რამეზე ვერ შეთანხმდნენ — რომელს ერგებოდა დედალი და რომელს მამალი ლეკვი. ფორისთან მცირე კამათის მერე სორელმა თქვა, სასტუმროში მოვრიგდეთო და ვარჯიშის დაწყება ბრძანა.

ვარჯიშის დაწვრილებით აღწერით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, გეტყვით, რომ მორკინალებისა და უკანა ხაზის წვრთნაში ბევრი ახალი ელემენტია.

ეს მოსალოდნელიც იყო, რაკი უკანა ხაზის მწვრთნელმა პატრიკ ფორიმ ბევრი ახალი შეასწავლა შეგირდებს. ფორიმ დიდხანს არბენინა ჩვენი ბეკები, რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა, მერე შეტევიდან დაცვაში და პირუკუ გადაწყობაში ავარჯიშა. მორაგბეებიც მონდომებით ასრულებნენ მწვრთნელის მითითებებს და ხმის აწევის მიზეზი ერთი-ორჯერ თუ მისცეს. ახლა „ზელანდიური" გავაკეთოთ, ახლა „ფრანგული", ხშირად გაიგონებდით ჩვენი უკანახაზელებისგან. „ზელანდიური" და „ფრანგული" კომბინაციების სახელებია.



მევლუდ მთიულიშვილი და კლოდ სორელი



სარუსეთოდ გრეგუარ იაშვილიც ემზადება

მორკინალები კი „სერგეევს" და „გრაჩოვს" ამუშავებდნენ. გრაჩოვი და ორმეტრიანი სერგეევი რუსთა მხტომელები არიან აუტებისას და მათთან გამკლავება თვით ირლანდიელებსაც გაუჭირდათ. ჩვენმა მორკინალებმაც ზედმიწევნით შეისწავლეს აუტებისას რუსთა განლაგება და კონტრზომების დამუშავებას შეუდგნენ. რაც შეეხებათ მხოტომელებს, ამ მხრივ ჩვენებს პრობლემა არ უნდა შეექმნათ. გუნდში ხუთი ტანმაღალი მორკინალია: ვანო ნადირაძე, ილია ზედგინიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გია ლაბაძე და გრეგუარ იაშვილი.

გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ დავით ბოლღაშვილს და გუჯა იოვაძეს. ბოლღაშვილმა ირლანდიასთან ნატკენი მხარი ვერ მოირჩინა, იოვაძეს კი საფრანგეთის ჩემპიონატში მიუღია მუხლის ტრავმა. რუსებთან ამათი თამაში ერთობ საეჭვოა.



ლევან ცაბაძეს ვარჯიშზეც დიდი ჯაფა ადგას

მოედნის კიდესთან მდგომ ბოლღაშვილს და იოვაძეს ფიზმომზადების მწვრთნელმა ტიერი რუდილიმ ძუნძული ურჩია, თვითონ კი წიგნი გადაშალა და ისე გაერთო, მის წინ გაჩაღებულ შერკინებასა და შებოჭვებს ყურადღებაც არ მიაქცია.

ვარჯიში კი ლევან ცაბაძის „ჩაქოლვის" მცდელობით დასრულდა. ერთერთი აუტისას „ლეონსიომ" ბურთი მოიხელთა თუ არა, მოწინააღმდეგე ჯგუფიდან ვიქტორ დიდებულიძემ დაიყვირა, მოკალით, მაგისიო და... ნაკრების ექსკაპიტანზე ნადირობა გაჩაღდა. ცაბაძე რამდენიმე ბრგე კაცის გარემოცვაში მოექცა და რომ არა „დამხმარე ძალა", მაგრად დაიჟეჟებოდა. შეგირდთა ოხუნჯობამ კლოდ სორელიც გვარიანად გაამხიარულა. ვარჯიშის დასასრულს ბორჯღალოსნებმა ერთხელაც შემოურბინეს მოედანს და ავტობუსს მიაშურეს. კლოდ სორელი კი სიტყვას არ გადადის — პრესკონფერენციამდე არც ერთი სიტყვა მომავალ მატჩზეო.

**ბაჩო სვანიძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



# ქართველებო, ვისწავლოთ სიმღერა სტა-დი-ონ-ზე!

გიმღერიათ სტადიონზე საქართველოს ჰიმნი? თუ გიმღერიათ, ესე იგი, ტექსტი გცოდნიათ და ყოჩაღ თქვენ. აი, ვისაც „დიდების" დაგუგუნება უნდა, მაგრამ ტექსტი არ იცის, მათთვის საქართველო — რუსეთის სარაგბო მატჩზე საგანგებოდ დაბეჭდილი ჰიმნის ტექსტები დარიგდება.

ასეთი ფურცელი სულ 30 ათასი იქნება და იმედია, ყველას არ შეხვდება. იმის თქმა გვსურს, რომ „ეროვნული" 30 ათას კაცზე ორჯერ მეტს იტევს და იმას რა სჯობს, თუ სტადიონი ბოლომდე შეივსება. ჩვენების შესაგულიანებლად და მეტოქის ნირწასახდენად კი სამი ათეული ათასი ქომაგის დაგუგუნებული მშობლიური ჰიმნი სწორედ რომ მისწრებაა.

დიდება ჩვენსა სამშობლოს!

# ერთ სულ და ერთ ხორც

„სარბიელთან" ერთ-ერთ ინტერვიუში ბორჯღალოსანმა ლევან ცაბაძემ თქვა, საფრანგეთში მორაგბეები და ფეხბურთელები ერთმანეთს მაგრად ქომაგობენ, ზოგმა ფეხბურთელმა რაგბის წესებიც არ იცის, მაგრამ რადგან მაისურაზე მამალი ახატიათ და ფრანგები არიან, ერთმანეთს გვერდში უდგანანო.

ბორჯღალოსნებმა გადაწყვიტეს, 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთის საფეხბურთო მატჩს დაესწრონ და ნაკრებთან ერთად უქომაგონ ჩვენებს. „მიუხედავად იმისა, რომ საღამოს ვარჯიში გაცდება, ბიჭებმა ალალად გვთხოვეს, ფეხბურთელებს გამხნევება გვინდა და მატჩზე წავალთო. უარი არ გვითქვამს, პირიქით, ჩვენც, ხელმძღვანელებიც დავემატებით და ჩვენს ძმებს გვერდში დავუდგებით! რუსების წინააღმდეგ მუდამ ერთად უნდა ვიყოთ" — გვითხრა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ.

მორაგბეებს ვალში არც ფეხბურთელები დარჩებიან და 13 ოქტომბერს „ეროვნულზე" თავისწილად უქომაგებენ ბორჯღალოსნებს.

## IRB-ის რეიტინგი 2002 ოქტომბერი

ჯერ საქართველო და რუსეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბმებოდნენ, მანამდე რაგბის საერთაშორისო საბჭომ ერთსაც და მეორესაც დაუთვალა სარეიტინგო ქულები და განახლებულ ნუსხაში შესაფერისი ადგილი მიუჩინა.

სადღეისოდ საქართველო ერთი საფეხურით უსწრებს რუსეთს და მე-18 ადგილზეა. წლევანდელი ერთი თასის წინ ბორჯღალოსნები მე-16-ზე იყვნენ, მაგრამ რუსეთთან ფრემ და რუმინეთთან მარცხმა ჩვენებურები 3 ადგილით ჩამოაქვეითა, ახლა კი ქართველებმა ერთი ადგილით წაიწიეს წინ, რაკი ირლანდიასთან 50 ქულაზე ნაკლები წაგებისთვის სარეიტინგო ქულები მიითვალეს.

ირლანდიასთან 32 ქულით დამარცხდნენ და შესაბამისად ერთი საფეხურით აინაცვლეს რუსებმაც და ფეხდაფეხ მიჰყვებიან ბორჯღალოსნებს.

1 ინგლისი (1)
2 ავსტრალია (2)
3 ახალი ზელანდია (3)
4 სამხრეთ აფრიკა (4)
5 არგენტინა (5)
6 საფრანგეთი (6)
7 ირლანდია (7)
8 ფიჯი (8)
9 კანადა (9)
10 შოტლანდია (10)
11 უელსი (11)
12 სამოა (12)
13 იტალია (13)
14 ტონგა (14)
15 აშშ (15)
16 იაპონია (16)
17 რუმინეთი (18)
18 საქართველო (19)
19 რუსეთი (20)
20 ნამიბია (31)

ფრჩხილებში მითითებულია გუნდების სასექტემბრო ადგილი

# მაია აზარაშვილის ხათრით ბორჯომში კენიელებიც ირბენენ

**უკვე მრავალი წელია, საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებები კანტი-კუნტად თუ იმართება, მაგრამ ახლა, ამ უქმეებზე, ერთბაშად ოთხი ასეთი ასპარეზობა გველის. თბილისში რომ საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელ-მორაგბეთა ბრძოლა-თამაშებია, თელავში თბილისის „გლდანისა" და ლუქსემბურგის „ბაშარაჟის" ხელბურთელები ევროპის თასების მფლობელთა თასზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. და ამ დროს ბორჯომში მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო მძლეოსნური კროსი გაიმართება**




— უკვე დანამდვილებით შეგვიძლია გაცნობოთ, რომ საქართველოს კროსმენებთან ერთად იასპარეზებენ ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, გერმანიის, ისრაელის, კენიის, რუსეთის და სომხეთის წარმომადგენლები, ველით აგრეთვე ბელგიელთა და ტანზანიელთა თანხმობასაც, — გვეუბნება საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე — შეჯიბრებაში ჩაებმებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები, რომლებიც ბორჯომის პლატოზე, დიდებულ ბუნებაში 6-6 კილომეტრს ირბენენ. სტარტზე 230-მდე სპორტსმენი გამოვა, რომელთაგან 30-მდე უცხოელი იქნება.

**— კი მაგრამ, როგორ მოიზიდეთ ისინი, ან ამდენ ხალხს სად უპირებთ დაბინავებას?**

— მათ ლიკანში ვაცხოვრებთ. იქ, მოგეხსენებათ, მშვენიერი ნომრებია, რომლებიც 300-მდე კაცს მოემსახურება. სპორტსმენებს სამჯერადი კვება ექნებათ, რითაც, ვფიქრობ, უკმაყოფილონი არ დარჩებიან.

**— ფინიშთან რა ელით გამარჯვებულებსა და პრიზიორებს?**

— ჩემპიონები 500-500, მეორე პრიზიორები 300-300, ხოლო მესამეადგილოსნები 200-200 ამერიკული დოლარის შესაბამის თანხას მიიღებენ. ისინი დაჯილდოვდებიან მშვენიერი მედლებით, რომლებიც თავად მაია აზარაშვილმა გერმანიაში დაამზადებინა. დაწესებულია აგრეთვე სხვა ბევრი პრიზი. ამას გარდა, მაია აზარაშვილმა შეჯიბრების მონაწილეთათვის მშვენიერი სპორტული ფორმაც შეიძინა.

**— სხვათა თანადგომის გარეშე ამ შეჯიბრებას, ალბათ, ვერ ჩაატარებდით.**

— რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენი ფედერაცია ამ საქმეს ვერ გასწვდებოდა, რადგან იგი 20000 ამერიკული დოლარი ჯდება. ამიტომ ტურნირი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებითა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერითაც ტარდება. ამ საქმისთვის თავად მაია აზარაშვილმა 5000 ამერიკული დოლარი გაიღო. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და „აგარის შაქრის" მეთაური გოჩა ძასოხოვი 500 დოლარით შეგვეწია, გენერალური სპონსორი კი გახლავთ საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია მამუკა ხაზარაძის თავკაცობით. ბუნებრივია, მხარში გვიდგას ბორჯომის გამგეობაც.

**— ტურნირის ტრადიციულად გამართვას ხომ არ ფიქრობთ?**

— დიახ, გეგმაში სწორედ ეს გვაქვს და მომავალში გაცილებით მეტ სპორტსმენს მოვიწვევთ. მათ ასევე გაცილებით მეტი საპრიზო ფონდითაც დავაინტერესებთ.

ამიტომაც მოვიწვიეთ სპეციალური დამკვირვებლები, ერთი ისრაელიდან, მეორე კი ჩვენი მეზობელი, სერგო ხაჩატუროვი გახლავთ, რომელიც ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ტექნიკური კომისიის თანათავმჯდომარეა. მათი დასკვნის საფუძველზე ამ ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება, რაშიც ეჭვიც არ გვეპარება. ამით ჩვენი შეჯიბრების სტატუსი ამაღლდება და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში ბორჯომის მსოფლიოს კროსიც დამკვიდრდება.

**— და ვინ არის ამ მშვენიერი იდეის ავტორი?**

— ბორჯომში მოსწავლეთათვის მძლეოსნურ კროსს აგერ უკვე ათი წელიწადია, ვატარებთ. შარშან ამ ტურნირს დაესწრო ჩვენივე ფედერაციის გენერალური მდივანი, სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი მაია აზარაშვილი. სწორედ მაშინ იყო, რომ ბორჯომის განათლების განყოფილების გამგემ ზაურ ქურდაძემ თქვა, კარგი იქნებოდა, ეს ტურნირი საერთაშორისო გაგვეხადა და იგი მაია აზარაშვილის სახელობის გამხდარიყო. იდეა ყველამ აიტაცა და, აი, ამ შეჯიბრებას კვირას უკვე ვმასპინძლობთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. 9 ოქტომბერი**

**B ჯგუფი**

უნიკახა 70:77 ოლიმპია

პანათინაიკოსი 87:71 ბუდუჩნოსტი

**C ჯგუფი**

შლიონსკი 72:91 ოლიმპიაკოსი

კინდერი 83:88 ვილერბანი

ულქერი 63:66 ცსკა

პარტიზანი 82:86 რეალი

**ფუხელ** ექვსი ევროპული ქალაქის საკალათბურთო დარბაზები საევროლიგოდ ახმაურდა. თორმეტი გუნდი ერთმანეთს დაეჯახა და ზოგი დამწუხრდა, ზოგმაც უზომოდ გაიხარა. თუ სიხარულზე მიდგება საქმე, პირველად ლიუბლიანელებზე უნდა ვთქვათ — ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია" მთელი თამაში უგებდა მალაგაში „უნიკახას" და წადილიც აისრულა. იუგოსლავიურად ანუ დუშან ივკოვიჩის მიერ დამოძღვრილმა ცსკა-მ კი ურთულესი ბრძოლა გადაიტანა სტამბოლში, სადაც ზაზა ფაჩულიას „ულქერს" გამარჯვება ბოლო წუთებში წაგლიჯა. არგენტინელი ემანუელ ჯინობილისა და სერბი მარკო იარიჩის ნბა-ში წასვლის შემდეგ ფერზე ვერაა შარშანდელი ფინალისტი „კინდერი". ბოლონიელებმა ორი ქულა და თავმოყვარეობა დაკარგეს სხვებისგან არაფრითგამორჩეულ „ვილერბანთან". უცხო ქალაქიდან ალაფით გაბრუნდნენ მადრიდის „რეალი" და პირეოსის „ოლიმპიაკოსიც". თუ ესპანურ გრანდს ბელგრადში ნერვიულობა შეხვდა „პარტიზანთან", ბერძნებმა ეროცლავში იოლად დაჯაბნეს „შლიონსკი"— და ბოლო შეხვედრაც: ევროლიგის ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა" ერთი შეხედვით იოლად მოუთავა საქმე ჩერნიგორიულ „ბუდუჩნოსტს", მაგრამ თუ პირველი ტაიმით განვსჯით, იუგოსლაველები იმსახურებდნენ მოგებას, თუმც მხოლოდ პირველი ტაიმი რომ საქმეს არ შველის, ანგარიშიდანაც ჩანს.



პარტიზანებთან ნათამაშარი მადრიდელი ლუკას ვიქტორიანო

REUTERS






რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით


**მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. არგენტინა 28 სექტემბერი 13 ოქტომბერი**

მეოთხედფინალი

იუგოსლავია 3:0 პორტუგალია

რუსეთი 3:0 საბერძნეთი



## იტალია

**სერია C1/A**

**1 გადადებული ტური**

ალბინოლეფე 1:1 რეჯანა

ჩიტადელა 0:2 პრატო

ლუმეცანე 0:0 ვარეზე

კარარეზე 1:1 ლუკეზე

ჩეზენა 1:1 არეცო

პისტოიეზე 1:0 პადოვა

პრო პატრია 1:0 ალძანო

სპალ 1:0 პიზა

ტრევიზო 2:0 სპეცია

**სერია C1/B**

**1 გადადებული ტური**

მარტინა 3:1 ტორესი

ბენევენტო 1:2 ჯულიანოვა

კიეტი 0:0 პიზარო

ფერმანა 2:1 კროტონე

აკილა 2:1 პატერნო

პესკარა 3:1 ვიტერბეზე

სამბენედეტეზე 2:0 ტარანტო

ტერამო 3:3 სორა


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80




REUTERS პუსანიდან



REUTERS ბაჰრეინიდან

# ლოჟა ნახე...

აჰა, ამიერიდან პატარა და სამოთხეს მიმსგავსებულ ბაჰრეინსაც აქვს თავისი სარბოლო ადგილი. მსოფლიო მეფორმულენი 2004 წლიდან ბაჰრეინის დიდ პრიზსაც გაითამაშებენ მანამას წრეზე. სარბოლო ადგილის გახსნის ცერემონიალს, ცხადია, მრავალნი დასწრებიან. საპატიო ლოჟის ერთი კუთხე კი ასე გამოიყურება: მოჰამედ ბინ სოლუამი — ახლო აღმოსავლეთის რალის ჩემპიონი, უფლისწული ენდრიუ — ჰერცოგი იორკისა, გვირგვინოსანი უფლისწული და ჯარის უფროსი ბაჰრეინისა შეიხ სულმან ბინ ჰამად ალ ხალიფა და პრეზიდენტი ავტორობილისტთა საერთაშორისო ასოციაციისა მაქს მოსლი.

# სადამის მწვრთნელი



REUTERS ხიუსტონიდან

ეს კაცი ერაყის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელია. ცნობილ გერმანელს, ბერნდ შტანგეს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია ერაყის ფეხბურთის ასოციაციასთან და ამერიკულ ბომბებზე მეტად, ალბათ, რეგიონის უკეთესი ნაკრებებისა ეშინია. სადამიც, ცხადია, იქვეა.

# ოქრომები

მეფე ფაჰდისა და უფლისწულ აბდულასათვისო, ასე ამბობს სამმაგი ხტომის აზიის ჩემპიონი, საუდელი სალემ ალ მოვალადი. კორეის ქალაქ პუსანში კი გრძელდება აზიის მე-14 თამაშები. ხსენებული სალემი კი 16,60 მეტრზე გადამხტარა და ოქროც კუთვნებია. ოქრო მოიგო ას მეტრზე რბენაში ამ შრილანკელმა კოხტა გოგომაც, რომელსაც ჰქვია სუსანტიკა ჯაიასინგჰ მანანალაგე და რომელიც კაი ჯანიანი ჩანს.




# წამოუტირია

პატარა გოგონა, კალიშა ჰეიკორდი „ოლდ ტრეფორდის“ ხმაურს თუ შეუშინებია ორშაბათს, „მანჩესტერ“ — „ევერტონის“ მატჩის წინ. არადა, „იუნაიტედის“ ფორმაც კოხტად მოურგია და სურვილიც თავიდანვე ასეთი ჰქონია, გუნდს უეჭველად გავუძღვები მოედანზეო. მაგრამ თავი როგორღაც მარტოდ უგრძვნია და წამოუტირია კიდეც. ბექჰს კი უთქვამს, აბა, ახლა არ შემარცხვინოო და ფერება-ფერებით გაუყვანია კალიშა მოედნიდან.




REUTERS მანჩესტერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge